საქართველო

წელიწადი მეხუთე
ოთხშაბათი, 16 ივლისი 1919 წ. № 148
ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. სისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამარგამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".
ტელეფონი № 15—73.

პირველი გასტროლი ორშაბათიდან 16 მკათათვემდე არტისტულ საზოგადოების შენობაში

კინო-თეატრი „ალკრე" ეკრანზე აჩვენებს ახალ მხატვრულულ გდა რანდიოზულ სურათებს, რომელიც მონოპოლიით ეკუთვნის მსხვილ აქციონერულ საზოგადოებას

„პრომეთეი ფილ".

სურათების საილუსტრაციოდ დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი.

ოთხშაბათს, 16 მკათათვეს ნაჩვენები იქნება

„მუნჯი მეზარე" ალექსი ტოლსტოის პროლოგით, ელინორა გლინის რომანის („მუნჯი დარაჯი") 9 აქტის ინსცენიროვკა. დადგმა პროტაზანოვის უმთავრეს როლებში ი. მოზუხინი და ნ. ლისენკო

სოჭიდან მოასვენეს ჩვენი დაუვიწყარი ძვირფასი შვილი როტმისტრი

გიორგი დავითის ძე ფორაქაშვილი.

ოთხშაბათს, 16 მკათათვეს გამოასვენებენ დილის 9 საათზე ვაგზლიდან (თბილისის სადგური) ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესიაში, სადაც წირვა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ იქვე დასაფლავებული იქნება; რასაც ღრმად დამწუხრებულნი: დედა თინათინა გეორგის ასული და მამა დავით ილარიონის ძე ფორაქაშვილები აუწყებენ ნათესავებს ნაცნობ-მეგობრებს და ამხანაგებს. 2—2530—2

სოჭიდან მოასვენეს ჩვენი დაუვიწყარი ძმირფასი ძმა როტმისტრი

გიორგი დავითის ძე ფორაქაშვილი

ოთხშაბათს, 16 მკათათვეს გამოასვენებენ დილის 9 საათზე ვაგზლიდან (თბილისის სადგური) ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესიაში, სადაც წირვა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ იქვე დაასაფლავებენ; რასაც ღრმად დამწუხრებულნი ძმები ზაქარია და ირაკლი დავითის ძე ფორაქაშვილები და რძალი სოფიო ივანეს ასული ფორაქაშვილისა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს და ამხანაგებს. 2—2530—2

დაიწყო ხელის მოწერა
კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო
სააქციო საზოგადოების
„საქართველო"-ს
აქციებზე ხელის მოწერა მიიღება

ბათუმში ნიკ. საბაევი
ფოთში ბ. ქვანია
სოხუმში ნიკ. თავდგირიძე
სენაკში პეტ. დგებუაძე
სამტრედიაში ტ. სიხარულიძე
ქუთაისში პ. უზნაძე
ხონში მ. ბახტაძე
ყვირილაში მ. ბასილაია
გორში დ. მჭავარიანი
თბილისში ტ. მარგველაშვილი
სიღნაღში ნ. ყაზბეგი
თელავში ვ. ციცქიშვილი

ხელის მოწერას მეთვალყურეობს ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტი დაგზავნილ ინსტრუქციის თანახმად. კომიტეტი ვალდებულია ენერგიულად და დაჩქარებით აწარმოოს საქმეები, რომ ხელის მოწერა მალე დასრულდეს. ხელის მოწერა წარმოებს ადგილობრივი ბანკის საშუალებით. 3—6.—2

ქართული კლუბი
ოთხშაბათს, 16 მკათათვეს 1919 წ.

1. კონცერტი
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი შულგინასი, ხორინასი, ბბ. ინაშვილი, სარაჯიშვილი და სხვ.

2. ლოთების მოჩვენება
მონაწილეობას მიიღებენ: ნ. ა. დიმოვი და ზერკალო.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. შესასვლელი ფასი 1 მ. 5 მ.
1—140—1

თბილისის ქალაქის სამმართველო

იწვევს ექიმს

თბილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორისა და ქალაქის საავადმყოფოს საბებიო განყოფილების ორდინატორის თანამდებობაზე პირველი თანამდებობის მსურველმა ექიმმა ქართული ენა უნდა იცოდეს.

თხოვნები დაწვრილებითი „curriculum vitae" ან მიიღება ქალაქის გამგეობის მედიკო-სანიტარულ განყოფილებაში მკათათვის 30-მდე. 2—141—1

ერთად ერთი გზა

სომეხთა და თათართა შორის დაუცხრომელი მტრობა და შურია განმტკიცებული, რომელიც დროგამოშვებით შეიარაღებულ შეტაკებად იქცევა ხოლმე და აწიოკების და ხოცვა-ჟლეტის ველურ ვაკხანალიის სახეს ღებულობს. არ უშველა რეჟიმის გამოცვლამაც. ამ განახლებულ დროსა და თავისუფლების ატმოსფეროშიც ისეთივე დევნა და დაუნდობლობაა ერთმანეთის, როგორიც რუსეთის ბატონობის დროს იყო. მიზეზები უფრო ღრმაა, ვიდრე ეს ბევრსა ჰგონია. ხან ერთი მხარე გამოდის მომჩივნად, ხან მეორე; ეს კი საქმეს არ შველის და ეს ორი მეზობელი და ერთმანეთში შესეული ხალხი ერთმანეთის განადგურებაში ხარჯავს თავის ენერგიას.

საქართველოში მყოფ აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლის ნოტის სახით პრესაში გამოქვეყნდა მორიგი ცნობა, რომ ერევნის გუბერნიაში მაჰმადიანობა დევნა-შევიწროებას განიცდის სომხეთის მთავრობისაგან, რაიც მთელ აზერბაიჯანში და მოსაზღვრე მაჰმადიანებში თურმე დიდ ჩოჩქოლს და მღელვარებას იწვევს.

ყველასათვის ცხადია, თუ რა კატასტროფიული ელემენტია ჩამარხული ამ ცნობაში, თუ ეხლავე ენერგიული და გულწრფელი ღონისძიება არ იქმნა მიღებული როგორც სომხებისა, ისე აზერბაიჯანელების მხრივ ამ გამწვავებულ მდგომარეობის დასაშოშმინებლად.

უნდა ბოლო მოეღოს ერთმანეთის ამ პერმანენტულ და ანარქიულ ხოცვა-ჟლეტას. ამიერ-კავკასიის ყველა ხალხის კულტურული ძალა უნდა ჩაერიოს ამ საქმეში და შეეცადოს უფლებრივი „modus vivendi" გამონახოს ამ ხალხთა მეზობლურ ცხოვრების მოსაგვარებლად. ამ მხრივ ყველაზედ ნაკლებ ის მოქმედობს, ვისაც ყველაზედ მეტად საქმის ნამდვილი შველა შეუძლიან. სახეში სომხის ხელმძღვანელი წრეები და სომხეთის მთავრობა გვყავს.

სომხის ხალხის წინამძღოლები იმ თავითვე შემცდარ გზას დაადგნენ, რომ ევროპის პოლიტიკურ ასპარეზზედ სომხეთის საკითხი გამოტანილიყო. მათი პოლიტიკა დამღუპველი და ფიზიკურად გამანადგურებელი შეიქმნა სომხის ხალხისათვის ოსმალეთში. იმ საშინელი ხოცვა-ჟლეტის მიზეზები, რომელიც სომხის ხალხმა ოსმალეთში გამოიარა და რომლის შედეგები ალმდგარ საქართველოს მოევლინა პოლიტიკურ და ტერიტორიულ თვითმყოფობა — მთლიანობის საფრთხედ, იმდენათ ოსმალეთის მაშინდელ მმართველთა ველურობაში არ მდგომარეობს, რამდენათაც თვით სომხეთა ხელმძღვანელების პოლიტიკაში. ოსმალეთის იმპერიაში გარდა სომხებისა, ბევრი სხვა ხალხიც ცხოვრობს როგორც ქრისტიანი, ისე არა ქრისტიანი, მაგრამ მათ არ განუცდიათ ის ჟლეტა, რომელიც საშინელის უბედურებით დაატყდა სომხის ხალხს.

რაც აქამდის მოხდა, იმის გამოსწორება შეუძლებელია, მაგრამ ამ წარსულის შეცდომით და ანალიზით უნდა ვისარგებლოთ მიმდინარე და მომავალ ურთი-ერთობის დამყარების საქმეში. ამ მხრივ სომხის ხალხის მეთაურები ახალ-ახალ შეცდომებს ჩადიან და ისეთ პოლიტიკას აწარმოებენ, რომელიც მავნებელია როგორც სომხეთისთვის და არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ფიზიკურ არსებობის მხრივაც, ისე საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის.

დენიკინის შემოტევის დროს, როდესაც ამიერ-კავკასიის ქვეყნებს და მათ შორის თვით სომხეთსაც ცხადი საფრთხე დაუდგა, სომხეთი მეზობლებს გამოეყო და განზე გადგა და დღესაც ამ ბრწყინვალე იზოლაციაში განაგრძობს ყოფნას. საქართველომ ამოწურა ყოველგვარი საშუალება, რომ კავშირი და შეთანხმება სომხეთთანაც ჩამოეგდო, მაგრამ ვერას გახდა. და დღეს იმის მაგივრად, რომ დაშნაკელთა ორგანომ ზღაპრები თხზას და ჭორები ავრცელოს: საქართველოს რეაქციონურმა და თავად აზნაურულმა მთავრობამ უყურადღებოდ დასტოვა სომხის დემოკრატიის სურვილი შეთანხმების და მის საწინააღმდეგოთ ბეგების მთავრობას დაუახლოვდაო, ისა სჯობია, რომ მდგომარეობას სერიოზულად ჩაუკვირდეს და გულწრფელად დაადგეს მეზობლებთა შეწყობისა და შეთანხმების გზას, ნუ თუ კიდევ საეჭვოა, რომ სომხეთს განმარტოებით და მეზობელთა საწინააღმდეგო ცხოვრება არ შეუძლიან? თუ ეს ასეა, მაშინ ერთად-ერთი გზაა ჩვენთან მოსვლა და ლოიალური კავშირის დადება. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესია ჯერ სომხეთისთვის და მერე საქართველო აზერბაიჯანისთვის.

თუ პოლიტიკურ გონიერებას კიდევ დამბლა არ დასცემია, დაშნაკელებმა თავიანთი ენერგია უნდა გაიღონ ამ სამთა კავშირის სწრაფ შექმნა-განმტკიცებისათვის.

სიტყვა სომხეთს ეკუთვნის.

ინგუშეთის ამბოხება

მოხალისეთა არმიის ვითომ ტრიუმფალური მსვლელობა მოსკოვისკენ კიდეც შესწყდა. უკანასკნელ ცნობებით ხარკოვი კომუნისტების წითელმა ჯარმა აიღო და დენიკინის მოხალისეები უკან იხევენ. ჯერ კიდევ არ არის ყველა ფრონტებიდან მიღებული ცნობები, თუ როგორია მდგომარეობა საერთოთ,—მხოლოდ ინტერესს იწვევს, ის რომ მოხალისეთა ჯარის ზურგში თავი იჩინა ამბოხებამ.

ამბოხების პირველი ცეცხლი ინგუშეთს მოედო. როგორც კერძო კორესპონდენტების ცნობები ისე მოხალისეთა შტაბის ოფიციალური განცხადება ამოწმებენ, რომ ინგუშეთში მოძრაობას სახალხო ხასიათი მიუღია. და სამკვდრო-სასიცოცხლოთ გადაჰკიდებია მოხალისეთა არმიას მთის ხალხი.

მიზეზი ამბოხების ის არის, რომ მოხალისეთა სარდლობამ მოსთხოვა ინგუშებს გამოეყვანათ 3 პოლკი ცხენოსანი ჯარი ფრონტზე თავის ნებით და აგრეთვე შემდეგ დაიწყებოდა ნამდვილი მობილიზაცია და ძველი ნაჩვევი ცარიზმის მეტოდით მთელი ხალხი განწირული იქნებოდა მოსასპობათ.

როგორც ინგუშეთის მცოდნე ხალხი ირწმუნებიან დენიკის ამ შემთხვევაში ორმაგი ცბიერობა ასულდგმულებდა. ერთი, რომ ინგუშების ახალგაზდობა გაეწყვიტა ბოლშევიკების ფრონტზე და შემდეგ დაპატრონებოდა უმანკო ხალხის სარჩო-ქონებას და კაზაკების სადავლოთ გაეხადა.

ინგუშეთის ერთ ეროვნულ ინსტიქტით მიხვდა, რომ ჯოჯოხეთური პლანი ხალხის მოსპობისა დენიკინს მართლა აუსრულდებოდა, თუ ინგუშები საკმაო აქტიობას არ გამოიჩენდენ და წინ არ აღუდგებოდენ მოხალისეთა არმიის განზრახვას.

როგორც ყოველ ერში ინგუშებშიც გამოჩნდენ მოღალატეები დაწინაურების მსურველი და დენიკინის გულის მოსაგებათ შეუდგენ ჯარის შედგენას—მაგრამ მეორე მხრივ დაიწყო წმიდა ეროვნული მოძრაობა ამის წინაამდეგ და ბრძოლამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო როცა შეიხული ისლამი უკმაყოფილოთა მხარეს გადავიდა. და ხალხს ამოუდგა გვერდში.

დენიკინის გენერლები რომელნიც აღზრდილნი არიან გამასწორებელ ექსპედიციებზე და ხალხის ამოჟლეტაზე, ამ შემთხვევაშიც ისე მოიქცენ, როგორც წინად და ინგუშებს მიუსიეს კაზაკები.

ეჭვი არ არის, რომ თუ გაერთიანებული მთა ვერ უძლებდა მოხალისეთა შეტევას, თუ, მართალია თავის მთავრობიდან გაყიდული, მაგრამ მაინც შეკავშირებული მთიელთა რესპუბლიკა დაეცა, აგრეთვე უიმედო და განწირულია ინგუშების ბედი, მათაც მოელით სასტიკი დამარცხება და ამოჟლეტა, მაგრამ ყოველ კეთილშობილ ადამიანის და მით უმეტეს მეზობელ ხალხის სიმპატიები ინგუშებისკენ უნდა იყოს მიმართული.

მართალია, მოხალისეთა აგენტები, რომელნიც ისე გათამამდენ რომ ინგლისელებსაც კი „გასტრალიორებს" ეძახიან, არ დაიგვიანებენ და ინგუშების საგმირო ბრძოლას ეროვნული თავის დაცვისათვის ბოლშევიკურ მოძრაობათ გამოაცხადებენ, რომ ამით მორალურათ გაამართლონ თავიანთი ველური საქციელი, მაგრამ ჩვენი ვალია არ შეუშინდეთ ამ პროვოკაციას და სადაც ხმა მიგვიწვდება განვაცხადოთ, რომ ეროვნული ბრძოლა ინგუშების სასოწარკვეთით არის გამოწვეული. და რომ ეს ბედი შეიძლება ინგუშების სხვა მეზობლებსაც დაემართოს.

ასე ესმის ეს საკითხი ბ. ახმეთ ცალიკოვსაც, რომელმაც ამის შესახებ მოათავსა წერილი ერთ რუსულ გაზეთში და საკმაოთ გაანათა, თუ რა ტრაგედიას განიცდის დღეს ინგუშეთის ხალხი.

ინგუშეთის ამბები სიგნალია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის. მეფის გენერალი დანგრეულ რუსეთისა შურისძიებით ატაცებული პატარა ერებზე იყრის ჯავრს და ბოლშევიზმის წინაამდეგ ბრძოლის ნიშნის ქვეშ აჩენს ბარბაროსულ მეთოდებს ეროვნულ დაჩაგვრისას და ხალხთა ჟლეტისას.

ჩვენ ვიცით, რომ არავის ინტერესს არ შეადგენს, მოსპობილ ცარიზმის ერთ ხროვის გარდა, რომ კავკასიის ერები რუსის გენერლების შურისძიების საგნათ გახადონ და ამით მოსპონ.

ყველაზე უფრო [illegible] კავკასიის ერები მიხვდებიან თუ რა საფრთხეს უმზადებს დენიკინის ურდო ყოველ მათგანს და როგორ ემუქრება დაღუპვით. ამიტომ ყოველი დღე კატეგორიულად ითხოვს გაერთიანებას, შეიარაღებასა და თავდაცვისათვის მზადებას

გაყიდული მთა სისხლიდან იცლება თავისუფლებისათვის ბრძოლისთვის და ეს ბრძოლაა კავკასიის სხვა ერების თავისუფლებისთვისაც...

პრესსა

მენშევიზმის აღორძინება.

„ერთობა" ეხება ბაქოში მოწვეულ მენშევიკების კონფერენციის შედეგებს, რომელზედაც უარყოფილი იქნა საბჭოთა რუსეთის ორიენტაცია და მიღებული რეზოლიუცია რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ და შემდეგ დასკვნამდი მიყავს:

„ბაქოს მუშათა ხელმძღვანელი, როგორც კომუნისტები, ისე ე. წ. რუსეთის მენშევიკები დღემდის მხოლოდ არღვევდნენ მუშათა სოლიდარობას, ასუსტებდნენ მათ აქტიობას და ენერგიას და კიდევ უფრო აღრმავებდნენ იმ ორმოს, რომელიც დროთა ბრუნვამ გათხარა ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის სხვადასხვა ნაწილებ შორის. ბაქოს მენშევიკების კონფერენციის უკანასკნელი დადგენილება, უარყოფს რა ძველ პოზიციას, ადვილებს საერთო მუშაობას და ამ საერთო მუშაობის ნიადაგზე შესაძლებლათ ხდის ყველა ნამდვილი და ჭეშმარიტი სოციალისტის შეკავშირებას.

ურჩევთ ბაქოელ ამხანაგებს ამ გზით მუშაობის განგრძობა-გაძლიერებას, რადგან ეს არის გზა არა მარტო ამიერ კავკასიის მუშათა კლასის გაერთიანებისა, არამედ მთელი რუსეთის დემოკრატიის გაერთიანებისა და მისი აღდგენისა, რადგან, თუ რუსეთი აღსდგება ოდესმე, აღსდგება მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით".

თუ მენშევიკებს აღორძინებისთვის მეტი არაფერი დარჩენიათ, რომ მოებღაუჭონ ასეთ შემთხვევით და საეჭო საბუთებს, მაშინ მართლა განწირული ყოფილა მათი საქმე.

რა უხარია „ერთობას" მენშევიკების რეზოლიუციაში, განა დენიკინისა, კოლჩაკისა, რუსის მემარჯვენე ესერებისა და მენშევიკებისთვის ახალია ეს ორიენტაცია? რუსეთის დამფუძნებელ კრებას დიდხანს ელოდენ, ჩვენი შინ გაზრდილი მენშევიკები, რომელნიც შემთხვევით მაშინ რუსეთის ბედსაც განაგებდენ მაგრამ სანამ ამ კრებას მოიწვევდენ მათ მოასწრეს კიდეც პეტროგრადის დატოვება. 1918 წ. ნოემბერში თბილისიდან კი აგზავნიდნენ თავიანთ გვარდიის რაზმებს „უჩრედილკის" დასაცავათ, მაგრამ ყველამ ვიცით, რითი დასრულდა ეს მეტიჩარობა.

ასე, რომ უიმედოთ განწირულია ახალი ფრონტის გაერთიანება მენშევიკებმა ალბათ ეს თვითონაც იციან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არ ივიწყებენ ლათაიებს, სხვის მოსატყუებლათ.

სამხრეთ ოსეთიდან სამხედრო ნაწილის გამოყვანა

ვინაიდან სამხრეთ ოსეთში მყოფმა სამხედრო ნაწილმა უკვე შეასრულა თავისი დანიშნულება და მომავალშიაც მისი იქ დარჩენა აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს და რადგანაც ამ ჟამათ სამხრეთ ოსეთში არავითარ ანარქიულ გამოსვლებს ადგილი არა აქვს და იქ სრული სიმშვიდე დამყარდა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სრული ნდობა გამოუცხადეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სამხედრო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით სათანადო განკარგულება მოახდინა, რათა აღნიშნული სამხედრო ნაწილი გამოყვანილ იქნას სამხრეთ ოსეთიდან.

ოსმალეთის დამფუძნებელი კრება

კონსტანტინოპოლის ოსმალურ გაზეთების ცნობით ოტომანთა მთავრობამ გადასწყვიტა, რომ ახალი პარლამენტის არჩევნების მოწყობა ეხლა დაგვიანებულია და საჭირო პირდაპირ დამფუძნებელ კრებისათვის მზადებას მოკიდონ ხელი. დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის მუშაობა კიდეც დაიწყეს.

პოლონეთის კაპიტალი საქართველოში

ამ სათაურით როსტოვის გაზ. „ჟიზნი" მკათათვის 9-ის ნომერში სწერს შემდეგს:

„jurnal dsonent" იტყობინება, რომ პოლონეთის კაპიტალისტთა ერთმა ჯგუფმა გადასწყვიტა ვარშავიდან ომის დროს უკრაინაში გადატანილი ქარხნები, მეტწილად ქიმიური და მეტალურგიული, საქართველოში გადაიტანოს.

ამ მიზნით კონსტანტინოპოლში იქონიოს თათბირი საქართველოს ფინანსთა და შრომის სამინისტროების წარ-

უკანასკნელი ცნობები

გერმანულ ავსტრიასა და სამხრეთ სლოვიანების შორის დროებით ზავზე მოლაპარაკება დასრულდა.

პეტერბურგის სახალხო კომისართა საბჭომ მოწოდებით მიჰმართა მთელი ქვეყნის მუშებს, სადაც მათ დახმარებისაკენ მოუწოდებს.

შვეციაში მეზღვაურთა გაფიცვა დასრულდა.

კოლჩაკის მთავრობაში ფინანსთა მინისტრად რუსეთის პოლიტ. თათბირის თავმჯდომარე ტრეტიაკოვი დანიშნეს.

ბოლშევიკური ცნობებით იტალიაში არეულობა იზრდება.

ოლონეცის მხარეს ბოლშევიკებმა ფინები სასტიკად დაამარცხეს და სდევნიან.

ციმბირის მთავრობამ ამერიკას 600 მილიონი „ნიკოლოზის“ ფული შეუკვეთა. დამზადებული ფული ვლადივასტოკში უკვე ჩაიტანეს.

უკრაინაში წითელი ტერორი გაძლიერდა.

ბესარაბიაში შიმშილი მძვინვარებს.

მომადგენელთა ერთის მხრივ და პოლონელ კაპიტალისტთა მეორეს მხრივ.

ალბად შეთანხმება მოხდება, რადგან საქართველო მიწის წიაღის ეროვნულ სიმდიდრედ გამოცხადების შემდეგ ეძიებს მწარმოებლებს, როგორც ადგილობრივს ისე უცხოელს.“

ქრონიკა

◆ **ფრონტის დღის გახსნა** განზრახულია თავისუფლების მოედნიდან, სადაც იქნება მგალობელთა გუნდები, მუსიკა და სიტყვები იქნება წარმოთქმული. გაიმართება აგრეთვე ჯარის აღლუმი ყოფილ რუსის ტაძრის მოედანში, სადაც გადახდილ იქნება პანაშვიდი. სახელმწიფო თეატრის, ალექსანდრისა და სასახლის ბაღებში გაიმართება დილით დიდი საბავშვო ხეირნობები. სახლები დროშებით იქნება მორთული. თბილისის ყველა რაიონში გაიმართება გასართობები, წარმოდგენები და სხვა და სხვა საღამოები. სასახლის ბაღში, ქართულ კლუბში და პლეხანოვის ქუჩაზე, მყოფ ყველა ბაღებში გაიმართება საინტერესო შინაარსის საღამოები. რესპუბლიკის ყველა კუთხეში მოხდება ფრონტის დღის მოწყობა.

◆ **ქართული კლუბი.** დღეს 16 ივლისს ქართულ კლუბში დანიშნულია კონცერტი ქ.ქ. შულგინას, ხორინას და ბ.ბ. ივ. სარაჯიშვილის ინაშვილის და „ტრიოს“ მონაწილეობით. კონცერტის შემდეგ წარმოდგენილი იქნება „ალკოგოლური ჰალიუცინაცია“ ეტიუდი“.

◆ **კურსები რადიო სპეციალისტებისა.** ამ დღეებში მოხდა გამოცდები რადიო სპეციალისტების კურსებზე. გამოცდები ჩააბარა 14—11 კაცმა.

ახალი წიგნები.

◆ **რედაქციამ მიიღო.** ევგენი დვალის მიერ შედგენილი და გამოცემული „მშვენიერი რაჭა“ კრებულში მოთავსებულია რაჭის შესახებ ისტორიული წერილები, ხალხური ლექსები და სურათები. წიგნი შეიცავს 44 გვერდს და ჰღირს 25 მარჩილი.

◆ **სახალ. გვარდიის წარმომ. კონფერენცია** 10 ივლისს გაიხსნა სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ყველა პროვინციების გვარდიის შტაბების წარმომადგენელნი, კონფერენციამ იმსჯელა სხვა და სხვა საჭირო საქმეებზე, დეპეშები გაუგზავნა ჯარსა მთავრობას, დამფუძნებელ კრებას, და სხვ. კონფერენცია დაიხურა 13 ივლისს.

◆ **ი. ქურხული ავადმყოფობა** 12 ივლისს პარტახტიანი სახადით ავათ გახდა მოხეტიალე მუსიკოსი ი. ქურხული.

◆ **ქალაქის უფასო აბანოში** ქალაქის უფასო აბანოში მაისის განმავლობაში ისარგებლა 8,000 კაცმა, ივნისის განმავლობაში კი 7,957 კაცმა.

შეცდომის გასწორება.

◆ **ჩვენი გაზეთის** გუშინდელ № ის წერილში ბ. კ. დათეშიძის წერილის გამო, შემდეგი სამწუხარო შეცდომაა: მე-11 სტრიქონის შემდეგ, გამოტოვებულია შემდეგი ადგილი: მ. ს. ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით გამოვაქვეყნო ის დოკუმენტი, რომელიც დახია მთავრობის აგენტმა ბ-ნმა გედევანოვმა და ამ ჟამად, როგორც სჩანს, ინტერესს იწვევს საზოგადოებაში“: ამ ამონაწერის შემდეგ იწყება თვით დოკუმენტის ტექსტი. შემდეგ რამოდენიმე ადგილას სწერია ვიტინსკი, უნდა იყოს: ვოიტინსკი.

სხ. და სხ. ამბები

◆ **ქურდობა.** 10 ივლისს მ. ავეტიკოვის საპარიკმახეროში გასაპარსავათ შესულმა ვ. ბალოიანმა, მაგიდაზე მდებარე ვერცხლის საათი მოიპარა მილიციელებმა ბოროტ-მოქმედი დააპატიმრეს და მოპარული ნივთი პატრონს გადასცენ.

◆ **ბოროტ-მოქმედებათა აღმოჩენა.** ამ უკანასკნელ დღეებში 1 კომისარიატის მილიციელებმა ქურდთა რამოდენიმე ორგანიზაცია აღმოაჩინეს. შეიპყრეს რამოდენიმე ქურდი და საპყრობილეში მოათავსეს.

◆ **გაძარცვა.** 14 ივლისს საღამოს 5 საათზე ნავთლუღის სადგურზე ბათუმიდან ჩამოსულ მაშადი ჯაფაროღლს წაართვეს 32,700 მან. ბონები და 50 ოქროს ლირა.

◆ **ქურდობა.** ამ დღეებში მ. ჯაფარიძის ბინიდან (ელისაბედის ქ. № 126.) მოიპარეს 20,000 მან. სხ. და სხ. ნივთები.

◆ **დაჭრა.** 14 ივლისს საღამოს 6 საათზე „ჩრდილოეთის ნომრებში“ შ. ლეჟავამ რევოლვერით უცაბედათ დასჭრა თავისი ძმა ვლადიმერი.

◆ **სომხის ეკლესიის გამძარცველთა შეპყრობა.** სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა: შ. პავოიანცი, ის. ალიევი, და მან. ვართანოვი, რომელთაც სომეხთა ვერის ეკლესიის გაძარცვა ბრალდებათ. დაპატიმრებულნი დანაშაულობაში უკვე გამოტყდნენ.

კრებები

◆ **საქართველ. ექიმთა კავშირის** თბილ. განყოფილებ. გამგეობა იწვევს თბილისის ექიმების საზოგადო კრებაზე ოთხშაბათს 16 ივლისს სალ. 7 საათ. მიხეილის სამკურნალოში: კითხვებია: 1) ექ. ნ. ტურიაშვილის მოხსენების გარჩევა, 2) სარევიზიო კომისიის გარჩევა, 3) მიმდინარე საკითხები, 4) სინიდისის სასამართლ. წევრთა არჩევანი.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ქუთაისი

ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრმა ან. შეფისაშვილმა სესხის აღების მოსაგვარებლათ ვრცელი მოხსენება შეიმუშავა 1918 და 1919 წ. ქალაქის საერთო ფინანსიურ მდგომარეობაზე. ეს მოხსენება წინასწარ განხილულ იქნება ქალაქის საბჭოს ფინანსიურ კომისიაში და შემდეგ ის საბოლოოთ დასამტკიცებლათ ქალაქის საბჭოს წარედგინება.

— შეჩერებული ქუთაისის ქალაქის საპნის ქარხანა უკვე ამუშავდა. საპნის ქარხანაში ამ ჟამად საპონს ამზადებენ საჭმელი ზეთიდან.

ქ. ბათუმი.

როგორც ბათუმიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ ამ დღეებში „ინტერნაციონალის“ კლუბში, ღამით, როცა იქ თავი მოეყარათ ორმოცამდე კაცს და ბანქოს თამაშობდენ,—შევიდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი, მოთამაშეები ერთად შეკრიბეს, მათ ტომარი მიუტანეს და უბრძანეს: „რაც რამ გაბადიათ ჩაჰყარეთ ამ ტომარაში“. მოთამაშეებმა ბრძანება შეასრულეს. რის შემდეგაც შეიარაღებულნი მიიმალნენ. როგორც ამბობენ წაღებული ფული ერთ მილიონს აღემატება.

ს. ნატანები.

ნიკო რონიაშვილმა „ვინტოვკის“ ტყვიით სასიკვდილოთ დასჭრა სოსო ფიცხელაური. დაჭრილი გარდაიცვალა.

ს. საშაბურო.

პურის მოსავალი ძალიან კარგია მხოლოდ ვენახებს ნაკლებულობა ეტყობა.

ს. როხი.

ს. როხის კოოპერატივი 8.000 მან. გაძარცვა კოოპერატივში მოვაჭრე ნიკიფორე ორბელაძემ.

ყუბანი.

მთავარსარდლისა და სხვა სამხედრო ატამანთა თათბირზე, დონისა და ყუბანის წარმომადგენლებთან ერთად ირჩეოდა დენიკინის მიერ კოლჩაკის მთავარსარდლობის აღიარების საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი დამსწრე არ იყო კმაყოფილი ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის, როგორც მთავარსარდლობის აღიარების საკითხია, ასე დაუკითხავად გადაწყვეტის.

უფრო დიდ კამათს იწვევს კოლჩაკის რუსეთის უმაღლეს მართველად აღიარების საკითხი. ეს საკითხი გაძნელდა მით უფრო, რომ ატამანები შეზღუდული არიან სამხედრო წრეების კონსტიტუციებით. ყუბანის ოლქი, მაგალითად, კონსტიტუციის ძალით, რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სთვლის კოლჩაკის აღიარების საკითხი მხოლოდ მის შემდეგ შეიძლება აღიძრას როდესაც ეს პარაგრაფი ყუბანის კონსტიტუციიდან გამოკლებულ იქნება.

კოლჩაკის ცნობა თუ არ ცნობა დამოკიდებულია იმაზე თუ თვით კოლჩაკი რამდენად განსაზღვრავს ყუბანის ყაზახთა ავტონომიურ უფლებებს.

პარტიის წევრთ და თანამოაზრეთ

რომელნიც მიემგზავრებიან ახალციხის, ახალქალაქის ანუ ბორჩალოს მაზრაში, სვანეთში ან აფხაზეთში, ვთხოვთ შემოიარონ მთავარ კომიტეტის ბინაზე („საქართველო“-ს რედაქცია— სასახლის ქუჩა № 5).

ქისტების აჯანყება

გაზ. „ბორბა“-ში ა. ცალკოვი, სხვათა შორის შემდეგ ცნობებს იძლევა:

„სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ინგუშეთში ამ ხანად სისხლის მღვრელი ომები სწარმოებს მათსა და მოხალისეთა შორის.

საქმე შემდეგში მდგომარეობს: თიბათვის 20-ს (ძველი სტ.) ორუჯის მე-4-ე დღეს ქისტებს (ინგუშებს) 4 პოლკი უნდა დაემზადებინათ ფრონტზე გასაგზავნად. ამ დღისათვის სადგურ ნაზრანზე ჩამოაყენეს ვაგონები და დაიწყეს 1-ლ ცხენოსან პოლკის ვაგონებში დატვირთვა. ამ დროს სადგურ ნაზრანზე მოვიდა შარიათის პოლკი, რომელმაც დაიწყო ჯარის ვაგონებიდან უკანვე გამოყვანა. ამ სიადაგზე მოხდა 1-ლ პოლკის ოფიცერთა და შარიათის პოლკთა შორის შეტაკება, რომელშიაც მოჰკლეს პორუჩიკი დუდანლობრიევი, შარიათის პოლკის მხედარი მუთალიევი, შარიათის პოლკის მიერ დაპატიმრებული კოტიევი, ძმ. კურიევები, პოლკ. გოიგოვი. შარიათის პოლკი შესდგებოდა სოფ. ეკაჟევოს, ნასირ-კორტს და სურხოხის მცხოვრებთაგან. ამისათვის ამ სოფლებში გაიგზავნა ყაზახთა რაზმი, ჯავშნოსნებით და არტილერიით; ყაზახებმა ბაზორკინო, დალაკოვო და კანტიშევო რომ გაიარეს გარს შემოერტყა მათ ქისტები და ყაზახთა რაზმი გაანადგურა სამხედრო მოქმედების დაწყების შემდეგ სჩანს, რომ ჯერ ჯერობით მოხალისეებს სჯობნიან ქისტები, მაგრამ საშინელი სისწრაფით აგროვებს განთავისუფლებულ ჯარებს.

იმის გარდა რომ ქისტებს უნდა მიეცათ ორი პოლკი 1200 კაცისგან შემდგარი და ერთი ბატარეა თავისი იარაღით შეიარაღებული, უნდა შეესრულებინა ულტიმატუმის ყველა პუნქტებიც. ამ პუნქტებში კი ნათქვამი იყო რომ ქისტებს სანჯენის მხარის ყაზახთა სასარგებლოდ 20.000.000 მანეთი და იარაღის ჩაბარება.

ქისტების აჯანყების სარჩულად მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული მოძრაობა.

ექიმთა კავშირის დაარსება

13 მკათათვეს შესდგა საქართველოს ექიმთა პროფესიონალურ კავშირის თბილისის განყოფილების დამფუძნებელი კრება, რომელზედაც საძირკველი ჩაეყარა ადგილობრივ ექიმთა კავშირს. დროებით გამგეობაში ამორჩეულ აღმოჩნდნენ 1. ვ. მუსხელიშვილი 2. ა. პაატაშვილი 3. ნ. ტურიაშვილი; კანდიდატებათ 1. კ. ტყეშელაშვილი და 2. ნ. მრევლიშვილი. კავშირს სხვათა შორის მიზნათ აქვს დასახული: დაარსოს თავის წევრთათვის საპენსიო ანუ საურთი ერთო დამხმარე კასსა, შემოიღოს მათი დაზღვევა, დაარსოს სინიდისის სასამართლო, შრომის ბირჟა და სხვა... განსაკუთრებულ ყურადღებას კავშ. მიაქცევს თანამდებობათა სამართლიან განაწილებას, ვინაიდან არიან ისეთი ექიმები, რომელსაც ორი და სამი ადგილი უჭირავთ იმ დროს, როდესაც ზოგიერთ ექიმს არც ერთი საექიმო თანამდებობა არ აქვს; ამას ზიანი მოაქვს, როგორც იმ დაწესებულებისათვის, სადაც რამდენიმე ადგილის მქონე ექიმი მსახურობს, აგრეთვე თვით ექიმებისათვის; კავშ. აზრით ექიმის თანამდებობაზე დანიშვნა უნდა მოხდეს კავშირის საშუალებით და არა პროტექციით და სხვა არა სასურველ გზით, რასაც სამწუხაროთ ხან და ხან ბევრჯერ ადგილი აქვს.

ქალაქის საბჭოში

(14 ივლისის სხდომა).

ქალაქებში აგრარულ რეფორმის გატარების შესახებ.

ქალაქებში აგრარულ რეფორმის გატარების შესახებ, მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა პანიევმა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პ. გოთუას წინადადებით ეს საკითხი ორი კვირით გადაიდო. მოხსენება ამ საკითხის შესახებ უნდა დაიბეჭდოს და დაეგზავნოს საბჭოს წევრებს, წინდაწინ.

—

წაღვერში საზაფხულო სკოლის გახსნის შესახებ.

წაღვერში საზაფხულო სკოლის გახსნის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა კონიევმა, რომელმაც აღნიშნა წაღვერში საზაფხულო სკოლის დაარსების საჭიროება.

აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ ხსენებული სკოლის გახსნა ძლიერ საჭიროა, მაგრამ რადგანაც ამ საზაფხულო სეზონში აღარ მოესწრება, სკოლა გახსნან გაის ზაფხულზე.

არჩევნები.

უნდა მომხდარიყო არჩევნები 1) სასანიტარო სამზრუნველოების თავმჯდომარეთა, 2) თვითმართველობის წარმომადგენელთა არჩევნები მოძრავი და უძრავი ქონებათა შემფასებელ საკრებულოებში. 3) სარევიზიო კომისიის 6 წევრის არჩევა ნაცვლად გასულებისა.

პირველი ორი არჩევნები შემდეგი სხდომისათვის გადაიდო, მოხდა მხოლოთ სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები არჩეულ იქმნენ ს.-დ.—3 ს.-ფ. 2 და ე.-დ.—1.

გენ. დენიკინი სოჭაში

თიბათვის 29-ს სოჭაში ყოფნის დროს გენ. დენიკინმა შემდეგი სიტყვებით მიჰმართა ჯარს: „მე მოხარული ვარ როდესაც ხელ-ახლად გხვდებით თქვენ, ძვირფასო მეომრებო, რომლებთანაც ერთად ყუბანის ლაშქრობა გავწიე.

თქვენ იცით რომ დონის ოლქი ბოლშევიკებისაგან სრულიად გავსწმინდე და ეხლა ყირიმს საცა არის გავსწმენდ. თქვენ აქ რუსეთის სადარაჯოდ სდგეხართ. თქვენ ალბად მოგეწყინათ, მაგრამ ნუ სწუხართ, ჯერ კიდე ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, ჯერ კიდევ მოასწრებთ რომ სახელი გაუთქვათ მოხალისეთა ბანაკს. უსურვოთ დღეგრძელობა უმაღლეს მმართველს, კოლჩაკს „ურა“—დენიკინი მეორე დღესვე წავიდა სოჭიდან.

კმარა ძალადობა

ის შევიწროება და წმინდა გრძნობების შეურაცყოფა და აბუჩად აგდება, რასაც განიცდის მორწმუნე საზოგადოება ამ თავისუფლების ხანაში ჩვენს თავისუფალ სამშობლოში, არ განუცდია მას არასოდეს.

„ახალ საქართველოს“ № 4-ში მოთავსებულ ბ. „ახელი“-ს წერილში მოთხრობილ ამბავმა არ შეიძლება არ გამოიწვიოს სამართლიანი აღშფოთება ყოველ მორწმუნის გულში.

საქრისტიანო საქართველოში, სადაც აღიარებულია სინიდისის თავისუფლება ერთ-ერთ სახელმწიფოებრივ დაწესებულების უფროსი მოურიდებლად ნებას აძლევს თავის თავს დაუზნოს მის ხელ-ქვეით მყოფ მორწმუნეთ მათი წმიდათა წმიდა სარწმუნოებრივი გრძნობები. იგი მოითხოვს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისგან, რათა მან „გასცეს საჩქარო განკარგულება“ მისადმი დაქვემდებარებულ საავადმყოფოში მოთავსებული ეკლესიის დაცლის შესახებ, რადგან, ვითომდა მის გამო „ავათმყოფები ძლიერ სწუხდებიან“.

ადვილი წარმოსადგენია ის გულის წყრომა და აღშფოთება, რომელსაც გამოიწვევს ყოველ მორწმუნეში მათი ამ გვარი აბუჩად აგდება.

დაცლა ეკლესიისა და ისიც საავადმყოფოში არსებულისა!

ეკლესია არის საზოგადოთ მორწმუნეთათვის გამამხნევებელი და მომგვრელი სულიერი სიმშვიდისა, ხოლო ავათმყოფ-მორწმუნეთათვის კი განსაკუთრებით. ყოფილა მაგალითები, როდესაც ჩვეულებრივ ურწმუნო ადამიანსაც კი, გაჭირების და ავათმყოფობის დროს, სასოებით მიუმართავს უზენაესისადმი ვედრებით და მოუპოვია სულიერი სიმშვიდე და მხნეობა... ეკლესია, საეჭვოა, რომ აწუხებდეს ვისმეს იმ ზომამდე, რომ მისი დაცლა აუცილებელი იყოს... ხოლო იმგვარ მოვლენათა მოსპობისათვის კი, რომელნიც ნამდვილად და ძლიერადაც აწუხებენ არა მარტო ავათმყოფებს, არამედ კარგად მყოფებსაც, როგორც სჩანს, იმავე დაწესებულების უფროსი არ სცდილობს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ გვარ უსამართლობას და უდანაშაულო ადამიანის შეწუხებას, რომელიც აღწერილია ხსენებულ ბ. „ახელი“-ს წერილში და შეეხება გარდაცვალებულ ნიკოლაიშვილს და მის ოჯახობას, ადგილი არ ექნებოდა: მიცვალებული, მორწმუნე ქრისტიანი, დაუსაფლავებიათ გარეშე ყოველგვარ საეკლესიო წესების შესრულებისა, მიცვალებული ამის გამო არ ჩაუწერიათ მიცვალებულთა ჩასაწერ წიგნში და მით დაუკარგვინებიათ მისი ოჯახობისათვის შესაფერი დახმარების მიღება.

თავისუფალ ქვეყანაში ყოველგვარი რწმენა (არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე სარწმუნოებრივიც) უნდა იყოს შეულახავი და ხელშეუხებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში— „რაია იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“,—რა თავისუფლებაა ის თავისუფლება, სადაც ადგილი აქვს ძალადობას.

მორწმუნე საზოგადოებას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მეტის პატივით და სიფაქიზით ეპყრობოდენ სხვა და სხვა დაწესებულებათა უფროსნი მორწმუნეთა წმიდათა წმიდას—სარწმუნოებრივ გრძნობებს და ამ გრძნობების განმამტკიცებელ დაწესებულებათ და პირთ—ჩვენს ეკლესიას და სამღვდელოებას, რომელთაც მიუძღვით დიდი ღვაწლი სამშობლოს წინაშე, როგორც წარსულში, აგრეთვე უკანასკნელ განმათავისუფლებელ მოძრაობის ხანაშიც, და რომელთაც ახლად აღორძინებულ სამშობლოს წინაშე მისი თავისუფლების წინამორბედის როლი შეასრულეს.

ნარ-შინ.

სომხეთი

პარლამენტი.

„კავკ. სლოვო“-ს კორესპონდენტი ერევნიდან იტყობინება, რომ პარლამენტის არჩევნებში მიუციათ ჯერ 250.000 ხმა. საამომრჩევლო მეტრი, როგორც ირკვევა 30.000-ს არ აღემატება. ამ რიგად პარლამენტის მომავალი შემადგენლობა დაახლოვებით ასეთი იქნება:

73 დაშნაკცაკანი, 4 ესერი და 3 მაჰმადიანი.

პარლამენტის გახსნას მოელიან მარიამობისთვის 1-ისთვის.

საგანგებო სასამართლო.

რადგან სომხეთს საკმაო ინტელიგენტური ძალები არ მოეპოვებოდა, ბევრ პასუხის საგებ თანამდებობაზე მოხვდა მოუმზადებელი პირები, ასეთმა გარემოებამ შესაძლებელი გახადა, რომ ბევრჯერ მოხელეებს ბოროტ-მოქმედება ჩაედინათ. ამისათვის მთავრობამ დააწესა საგანგებო სასამართლო მოხელეთათვის.

ამაზე „ჰაიასტანი აშხატავორი“ სწერს, რომ 20 კაცი სასამართლოს კიდეც გადასცეს, მაგრამ დღემდე არავინ დაუსჯიათო.

ერევნის დავალიანება

ოთხი თვის განმავლობაში ერევანს შვიდასი-ათასი მან. დეფიციტი აქვს.

სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი

სახელმწიფო მამულების სასოფლო-სამეურნეო განყოფილება ნოვო ბაიაზეთში ხსნის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს, რომელსაც ექნება სარძეო და სატექნიკო განყოფილებანი.

ტოროსიანის გადადგომა

შრომის მინისტრი ს. ტოროსიანი გადადგა. მის ადგილას დაინიშნა ტერ-მიქაელიანი.

ქურთებთან შეტაკება

ყარაკურტის მახლობლად სომხეთა ერთ ასეულს და ქურთების რაზმს ბრძოლა მოუხდათ. ტყვიისმფრქვევლებით შეიარაღებულმა სომხებმა ქურთებს არეზის გადაღმით დაახევინა. მკათათვის 8-ს ქურთებთან ხელმეორედ ჰქონდათ შეტაკება სოფ. მეჩეთალის მახლობლად. მკათათვის 9-ს ქურთებმა სთხოვეს შერიგება. ქურთებს 40 კაცი მოუკლეს.

კილიკიის სომხეთა კათალიკოსი.

კილიკიის სომეხთა კათოლიკოსს საჰაკს გაზ. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტთან საუბარი ჰქონია და მისიპირით ამერიკელთათვის. როგორც კორესპონდენტი სწერს, საჰაკ კათალიკოსის სურვილია, რომ ამერიკამ მიიღოს თავისუფალ და შეერთებულ სომხეთის მზრუნველობა და სამუდამოთ ბოლო დაუდოს ოსმალების მიერ სომეხთა მოსპობის პოლიტიკას. კათოლიკოსს მხურვალე სურვილი გამოუთქვამს რომ კილიკია სომხეთს შეუერთდეს, იგი წინააღმდეგია, რომ სომხეთში გაიგზავნოს პარიზის კონფერენციის მიერ გამომძიებელი კომისია, იმიტომ რომ მისი აზრით კომისიის წევრები შეიძლება ცუდად გაეცნონ სომხეთს და სომეხთა მოთხოვნილებების წინააღმდეგ მოხსენება წარმოუდგინონ მოკავშირე სახელმწიფოებსა.

(„აშხ.“)

ევროპის ეკონომიური მდგომარეობა

დ. ღამბაშიძის მოხსენება ფინანსთა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში

ინგლისიდან ახლად ჩამოსულმა საქართველოს ელჩმა დ. ღამბაშიძემ 11 ივლისს საღამოს 7 საათზე ფინანსთა სამინისტროს დარბაზში მოხსენება გააკეთა ევროპის თანამედროვე ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

კრებას დაესწრენ: მინისტრი კ. კანდელაკი, სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი, დეპარტამენტის დირექტორები: დ. აფხაზი და ს. ჭანტურიშვილი, განყოფილების უფროსები: სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრები, ყოფილი ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული, ნ. ნიკოლაძე, დამფუძნებელ კრების წევრები და სხვა მაღალ თანამდებობის პირნი.

მომხსენებელმა პირველ ყოვლისა დამსწრეთ გააცნო ის რევოლიუცია, რომელიც სრულებით შეუმჩნევლად გატარდა ინგლისში.

მსოფლიო ომმა ამ ქვეყანაში უმაღლეს წერტილამდე აიყვანა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, ინდუსტრიის ზრდა. თანამედროვე ჯარი იმდენად რთული ორგანიზმი გამოდგა, რომ მან მოითხოვა ყველაფერი პატარა ქინძისთავებიდან დაწყებული უდიდეს ავტომობილამდე. ყველა ამის დაკმაყოფილებამ გამოიწვია სახელმწიფოს ცალკე სამრეწველო რაიონებათ დაყოფა და მისი სახელმწიფოს კონტროლს ქვეშ დაყენება.

მდგომარეობა ინგლისში

ინგლისს ამ ჟამად განსაკუთრებული ალაგი უჭირავს ევროპის სახელმწიფოებთა შორის. მას აქვს უდიდესი ქარხნები, რომლებიც გაცილებით მეტს საქონელს ამზადებს, ვიდრე ეს მისთვისაა საჭირო, და ამ ზედმეტ საქონელს იგი ანაწილებს ყველა სხვა სახელმწიფოებთა შორის.

ინგლისს დღეს ყველაფერი ბლომათ მოეპოვება.

ერთად ერთი ნაკლულება, რომელსაც იგი განიცდის გახლავთ ტყვია და ნედლი მასალის სიმცირე; უკანასკნელის გამოსასწორებლათ პარიზში მათ დაარსეს ეგრედ წოდებული უმაღლესი ეკონომიური კომიტეტი. მათ ჩინებულათ მოაწყვეს კანადელების კორპუსებით არხანგელსკიდან ხე-ტყის მასალის გაზიდვა, რაც ამ ჟამად დიდ სიმდიდრეს შეადგენს დიდ ბრიტანეთისათვის.

სავაჭრო გემების დაღუპვა თვალსაჩინო დანაკლისია ინგლისისათვის. რითაც მისი ტონაჟი ორმოცდა-ათი პროც. შემცირდა, მაგრამ გერმანიის ჩამორთმეულ გემებით ინგლისმა ეს დანაკლისი 30 პროც. შეავსო და თვითონაც ააშენა 35 პროც. დანაკლის გემებისა. ამ გემებით ინგლისი დღეს აწარმოებს ვაჭრობას სხვა და სხვა სახელმწიფოებთან. გააქვს დიდ-ძალი ქვა-ნახშირი, რომლის ექსპორტიც შეუდარებლათაა მოწყობილი.

საფრანგეთში

ეკონომიური მდგომარეობა ინგლისთან შედარებით ძალზე ცუდია. ამის მიზეზი საფრანგეთის ტერიტორიის აოხრებაა გერმანიის ჯარების მიერ. გერმანელ კორპუსების უფროსებს მთავრობიდან პირდაპირ ნაბრძანები ჰქონდათ, რათა დაჭერილი ქვეყნები სრულიად დაეცალა ინდუსტრიისაგან. ამ მხრივ მათ კიდეც მიაღწიეს მიზანს: ჩრდილოეთ - საფრანგეთი მიწასთან გაასწორეს წარმოების მხრივ.

დაჭერილ ქვეყნებში ინდუსტრიის განადგურებასთან, გერმანელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ კოოპერატივებს და დიდ დახმარებას უწევდნენ მათ. ასე გასინჯეთ, სურსათის განაწილებაც კი მიანიჭეს მათ.

ინდუსტრიის განადგურებამ საფრ. ჩრდილოეთ ნაწილში გამოიწვია უმუშევრობა, რაც თვალსაჩინო გახდა

ომის გათავების შემდეგ; ამერიკამ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და აამუშავა ელზას ლორენის დახურული მაღაროები, რამაც ძალზე შემცირა უმუშევართა რიცხვი.

იტალიაში.

ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უკეთესია საფრანგეთთან შედარებით. მან ევროპას მისცა საუკეთესო მექანიკოსები; იტალიის ავტომობილები მოწონებაში არიან როგორც ევროპაში, აგრეთვე ამერიკაში.

რუსეთის სამხედრო ამუნიციის დაკვეთამაც დიდათ შეუწყო ხელი იტალიის ინდუსტრიის ზრდას 45 ახალი ქარხანა დაარსდა ამ დანაკვეთების შესასრულებლად.

ომის განმავლობაში მანვე ძალზე განავითარა აგრეთვე სართავი ქარხნები და სხვანი.

ჩვენთვის იტალიის ექსპორტში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია გარდა ამისა, რომ მათი ვაჭრები კომერსანტები მეტად ზრდილნი და მიმზიდველნი არიან, მათ ჯარში აქვთ მოწყობილი კაბინეტები, რომლებიც ერთი ჯარს აწვდის სურსათს, მეორე კი მცხოვრებს.

ყველაზე უკიდურეს მდგომარეობას ეკონომიურის მხრივ ავსტრია განიცდის. უდიდესი მათი ქარხნები (სკოდის ქარხანა) ჩეხებს ჩაუვარდათ ხელში, რომლებიც ამ ჟამად შეთანხმების სახელმწიფოთა კონტროლის ქვეშ იმყოფება.

გერმანიაში.

დიდი დატრიალება მოხდა ეკონომიკის სფეროში რევოლიუციის შემდეგ. მუშებმა წამოაყენეს ისეთი დიდი ხელფასი, რომ ქარხნებმა მას ვერ გაუძლეს და დაიხურნენ. შემდეგ ისევ გამოასწორეს ეს შეცდომა. დააწესეს მინიმუმი ხელფასისა და აამუშავეს ქარხნებიც; მაგრამ ნედლი მასალის სიმცირის გამო მათი ნაყოფიერება ძალზე შემცირებულია, რის გამოც გერმანიას აღარ შეუძლია ახლო მომავალში ბაზარზე იმ საქონლის გამოტანა გარდა სამკურნალო და სამკაულო ნივთებისა, რომლებიც საჭირონი არიან თანამედროვე საზოგადოებისათვის.

ნეიტრალურ სახელმწიფოებში.

სულ სხვა მდგომარეობაში არიან დღეს ევროპის ნეიტრალური სახელმწიფოები. ისინი მთელი ომის განმავლობაში უანგარიშოთ ხვეტდენ ფულს. გერმანიის სამხედრო დაკვეთამ შვეციის ინდუსტრია 25-ჯერ გაზარდა, ნორვეგიის კი 15-ჯერ. ასეთივე ბედი ეწვია ისპანიას და სხვებს. ამ ქვეყნებს შეუძლიათ დიდძალი საქონლის გამოტანა მსოფლიო ბაზარზე-

ქალები სამუშაოზედ

ამის შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმ საკითხს თუ რა გავლენა იქონია მუშათა საკითხზე ინდუსტრიის ასეთმა ზრდამ და აღნიშნა, რომ ომმა ქალებს დააკისრა, მეტად მძიმე სამუშაოების წარმოება: ისინი ხნავდენ, მაღაროებს თხრიდნენ, რკინის გზებში მუშაობდენ, ორთქლმავალზე ისხდენ და ასეთმა მათმა საქმიანობამ დიდათ შეუწყო ხელი ომის გახანგრძლივებასო. დღეს ინგლისში სამ მილიონ ნახევარი ქალი მუშაობს მამაკაცის სამუშაოზე.

მუშების მდგომარეობა

ამის გარდა, ხელფასის აწევამ მუშებში გამოიწვია მათი გამდიდრება, უკანასკნელმა კი—კომფორტის სიყვარული. ისინი ეტანებიან ისეთ ძვირფას სამკაულებს და საპირფარეშო საგნებს, რაც სხვებისათვის ის ამ ჟამად სრულიად მიუწდომელია.

ინგლისელ მუშებმა დიდ ძალი ფული დააგროვეს აგრეთვე შემნახველ კასებში, რის გამოც სახელმწიფოს სრულებით არ დასჭირვებია გარეშე სესხის აღება და ამ კასებიდან მიღებულ შინაურ სესხით აკმაყოფილებდენ ომის საჭიროებას.

საქართველო და ევროპა

დასასრულ ორატორმა გააცნო კრებას თუ რის გაკეთება შეუძლია ჩვენთვის ევროპას და სთქვა, რომ ევროპა დღემდე გართული იყო დემობილიზაციით, მთელი გემები მათ უნდებოდათ, და აწი ჩვენსა და ევროპას შორის დაახლოვება შესაძლებელიაო.

კონსტანტინეპოლში საქონელი იმდენია, რომ საქართველოს ორმოც წლიწადს ეყოფა, მხოლოდ ბონებს იქ არ ღებულობენ, ნედლი მასალის გასატანი კონცესიები ჩვენ არ მოგვეპოება და არც ხელსაყრელია ამ პირობებში იგი ჩვენთვის.

რათა ჩვენ გამოვიყენოთ კონკურენცია დიდი სახელმწიფოების, რომელიც სტამბოლში მოსალოდნელია, ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ ექსპერტები ეკონომიურ საკითხების მოსაწყობათ. ამასთანავე საჭიროა ყველაფერში ეკონომიური სიფრთხილე გვქონდეს. ჩვენს მადნეულობებს: მარგანეცს, სპილენძს და სხვებს დიდ ყურადღებას აქცევენ ევროპაში და ამას ჩვენთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს საბაჟოებს, რათა ისინი უქრთამოთ ასრულებდნენ კეთილ სვინდისიერათ თავის მოვალეობას. საჰარო საზღვრებზე თარჯიმნების ყოლა და სადარაჯო ყარაულების უფრო წესიერათ შემოსვა. ჩვენი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ბათუმსაც

მოხსენების შემდეგ მას რამდენიმე შეკითხვები მისცეს, რომლებზედაც ვრცელ განმარტებას იძლეოდა მომხსენებელი. თავის განმარტებაში მან სხვათა შორის სთქვა, რომ ევროპაში ქაღალდების ფულის განაღდებას ოქროთი არავინ არ ფიქრობს და აპირებენ ჩეკების სისტემის შემოღებას, რომელიც ინგლისში ახლაც ხმარებაშია შესული.

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ივლისის 15-ს

ინგლისური პრესა.

ჰუნგრეთის ელჩი ავსტრიის წინააღმდეგ მოქმედებს.

ავსტრიის სტატს-სეკრეტარმა ბაუერმა ჰუნგრეთის ხალხს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ავსტრია-ჰუნგრეთის მეგობრულ განწყობილებას საფრთხე მოელის ჰუნგრეთის ვენაში საელჩოს ზოგიერთ წევრისა მეოხებით, რომელნიც მტრულ მოქმედებას აწარმოებენ, რაც ელჩ ცობელსაც უწყის, ამის გამო გერმანელ ავსტრიის მთავრობა იძულებულია აუწყოს ჰუნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკას, რომ ჰუნგრეთის ელჩს ვენაში „პერსონა გრატად“ აღარა სთვლის. უკანასკნელ ცნობებით, ცობილი ვენიდან ბუდაპეშტში წავიდა მოხსენების წარსადგენად-

ბროკდორფ-რანცაუ თავის მონაწილეობის შესახებ საზავო მოლაპარაკების წარმოებაში.

„ბერლინერ-ტაგებლატ“-ის ივლისის 12-ის ნუმერში მოთავსებულია ბროკდორფის შემდეგი წერილი საზავო ხელშეკრულების შესახებ: „მაისის 7 წარმოთქმულ სიტყვაში, როდესაც საზავო ხელშეკრულების პროტესტი მიღებული მქონდა, მაგრამ მის შინაარსს ჯერ გაცნობილი არ ვიყავ, აღვნიშნე ის პირობები, რომელთა დაცვითაც შეიძლებოდა ხელშეკრულების მიღება, შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს პირობები არ იყო დაცული, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მხრიდან მირჩევდნენ პროტესტი გამომეცხადებია, მე განვაგრძობდი სხვა პოლიტიკას, რათა მოწინააღმდეგე დამერწმუნებია რომ გერმანია ვერ მიიღებს ამ პროექტს. ერთი ცნობა ძალას დაუკარგავდა იქ გამეფებულ შოვინისტურ პარტიებს, რათა სიტყვიერი მოლაპარაკება დაეწყოთ. ჩემი სურვილის წინააღმდეგ, ის პროექტი ბერლინში მაშინვე მიუღებლად სცნეს. დელეგაცია მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ ხელშეკრულება შეეცვალნათ და ისე მოეწერა ხელი. ივლისის დასაწყისში დელეგაციის ასეთი პოლიტიკა სრული გამარჯვების იმედს იძლეოდა. გერმანიის საზოგადოებრივი აზრის ამ საკითხისადმი ყურადღებით მოპყრობა დაგერმანელ ხალხის სიმტკიცე გამარჯვების უზრუნველყოფდა. მოწინააღმდეგემ მხედველობაში მიიღო გერმანიის საზოგადოებრივი აზრის გამოცვლა და გერმანიის დელეგაციის მუშაობა უქმი გამოდგა და იძულებული ვიყავი დავმორჩილებოდი ამის შედეგებს.

არეულობა იტალიაში

ლიონი, ივლის. 12. რუსთა საბჭომ ივლისის 10. იტალიიდან ცნობები მიიღო, რომ იქ დიდი არეულობა მომხდარა. მოკლულია რამდენიმე ასი კაცი, მრავალი დააპატიმრეს.

გაფიცვების დასრულება შვეციაში

ნაუენი ივლის. 13. შვეციის მეზღვაურებმა მუშაობა განაახლეს გაფიცვა 4 დღეს გაგრძელდა, შემოღებულია 8 საათის სამუშაო დღე და ხელფასი გაუდიდეს.

ფინების დამარცხება

ფინელი მოხალისენი ონეცთან სრულიად დამარცხდნენ; თავი გაანებეს დაჭრილებს, ტრანსპორტს, ამუნიციას და გაიქცნენ. ჩრდილოეთის ჯგუფიც იძულებული იყო უკან დაეხია. ამნაირად ოლონეთის გუბერნიის სამხრეთის ნაწილი მთლიანად ბოლშევიკების ხელშია.

ტრეტიაკოვი კოლჩაკის ფინანსთა მინისტრად.

პარიზი, ივლისის 12. სააგენტო „უნიონ“-ის ცნობით, ადმირალმა კოლჩაკმა ვაჭრობა მრეწველობის მინისტრად დანიშნა რუსეთის პოლიტიკურ თათბირის ფინანსიურ კომისიის თავმჯდომარე და დროებითი მთავრობის ყოფილი წევრი ტრეტიაკოვი.

პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღებოთ!

ხელის მომწერთ გაზეთი ყოველ დღე წესიერად ეგზავნებათ; თუ მათ ნუმრები ჰკლდებათ, მიზეზი ადგილობრივ უნდა ეძიონ.

კანტორა

დვინსკი, ივლისის 11. ლიბავის გაზ. „რუსკოე სლოვო“—იუწყება: „ციმბირის მთავრობამ ამერიკაში დაიკვეთა 3.600,000 „ნიკოლოზის“ ფული. ამერიკელების მიერ დამზადებული ფული ვლადივოსტოკში უკვე მოიტანეს. ციმბირში მხოლოდ „ნიკოლოზის“ ფული და ან „კერენკები“ დადის. კოლჩაკის მიერ გამოშვებულ ფულს, როგორც მცხოვრებლები ისე მისი მოკავშირენი, არ იღებენ.

წითელი ტერორი უკრაინაში.

კიევი, ივლისის 12. უკრაინაში წითელი ტერორი გაძლიერდა, არსდება წითელი ტერორის კომისიები. გამოქვეყნდა საგანგებო ტრიბუნალის დადგენილება, რომლითაც პროლეტარიატი ყაზახთა და ოფიცერთა ბრბოებს აფრთხილებს, რომ პროლეტარიატის დახვრეტის საპასუხოდ ბურჟუაზიის მოსპობას შეუდგებიან.

მუშათა მობილიზაცია.

სამარა, ივლისის 10. ყაზახების თავდასხმის გამო ბალაკოვის პროფ. კავშ. საბჭომ ყველა მუშები 17 წლიდან ჯარში გაიწვია.

მუშები დენიკინის წინააღმდეგ.

კამინინი, ივლისის 13. პროფეს. კავშირების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების შეერთებულ სხდომაზე დაადგინეს, რომ ყველა კავშირების წევრნი აუცილებლად ჩაეწერნენ წითელ ჯარში დენიკინის გასანადგურებლად.

სამხედრო ცნობა.

№-ის არმიის შტაბი. ოსინის ფრონტი. ბრბ. ივისისაგან გავსწმინდეთ. საბჭოთა დაწესებულებები აღდგენილია.

შიმშილობა ბესარაბიაში.

ჩერნიგოვი. ივლის. 13. „იზვესტია“ იუწყება: ტყვედ წამოყვანილი რუმინელები გადმოგვცემენ, რომ ბესარაბიაში შიმშილობაა. პურის დღეში გირვანქის მერვედ არიგებენ. პურის უქონლობის გამო რუმინიის ჯარში უკმაყოფილებაა. ჯარისკაცები ნახევრად მშივრები არიან.

გერმანულ ავსტრიასა და სამხრეთ სლავიანებს შორის დროებით ზავზე მოლაპარაკება დასრულდა.

ნაუენი, ივლისის 13 გერმანულ ავსტრიასა და სამხრეთ სლავიანების შორის დროებით ზავზე მოლაპარაკება დასრულდა. პირობების თანახმად სამხრეთ-სლავიანებმა კლაგენფურტი უნდა დასცალონ და ჯარი აღნიშნულ დემორკაციულ ხაზზე უნდა გადაიყვანონ.

პეტერბურგის სოვ-ნარ-კომის მოწოდება მთელი ქვეყნის პროლეტარიატის მიმართ.

მოსკოვი, ივლისის 14. პეტერბურგის ახლად არჩეულ საბჭოს მთელი ქვეყნის პროლეტარების მიმართ (გამოტოვებული და დამახინჯებულია) ბურჟუაზიულ პრესის მიერ ყველგან გავრცელებული ცნობები სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს .. (გამოტოვებულია) ჩვენში გამეფებულია პროლეტარული დისციპლინა და სრული წესრიგი. ჩვენ თავს ვიცავთ მტრისაგან, რომელიც ყოველი მხრიდგან გვესხმის თავს იმისთვის, რომ ჩვენ მუშათა ახალ სახელმწიფოებს ვაშენებთ. ჩვენ დამნაშავე ვართ თქვენი ქვეყნის ბურჟუაზიის წინაშე მხოლოდ იმაში, რომ პირველად ჩვენ ავაფრიალეთ წითელი დროშა და გავდევნეთ მეფე და ბურჟუაზია, აი, უკვე ორი წელია, რაც ძალა-უფლება ხელთ გვიპყრავს. ფაბრიკა-ქარხნები — და მიწა გლეხებს გადავეცით. თქვენ მთავრობებს ვძულვართ, იმიტომ რომ პროლეტარული რევოლიუციის დროშა პირველად პეტროგრადმა აიფრიალა. ესტონიის და ფინეთის ჯარისკაცნო! თქვენ გატყუებენ, უკვე ორი წელია, თქვენ გეუბნებიან, რომ ვითომ ჩვენ გვსურდეს ესტონია და ფინეთი ჩავიგდოთ ხელში. ეს არ არის მართალი. მოსკოვში სამს ამ თვეს ცენტრ. კომიტეტის სხდომაზე ზინოვიევმა მთელი საბჭოთა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ ჩვენ ჯარს ნაბრძანები აქვს, ფინეთის და ესტონიის საზღვარზე არ გადავიდეს. რუსეთის უმაღლესი ორგანო, ცენტრ. აღმას. კომიტეტი და მისი განცხადებები ოფიციალურია. ჩვენ გვწამს, რომ ახლოა ის დრო, როდესაც თქვენ შესძლებთ თქვენი ბურჟუაზიისაგან განთავისუფლებას. თქვენი ქვეყნის მთავრობები ყოველივე მას აკეთებინებენ, რაც მათ დაღუპვას აახლოვებს. თქვენთან ომი ჩვენ არ გვსურს. როდემდი მისცემთ ნებას თქვენ მთავრობას, რომ თეთრი ჯარი იარაღით, ფულით ოფიცრებით და სურსათით უზრუნველჰყოს. მურმანთან ჩვენ წინააღმდეგ ფრანგები, სერბიელები და იტალიელები იბრძვიან. ესტონიის და ფინეთის საზღვარზე მდგარი ჯარი ესტონიის და ფინეთის მთავრობისაგან არის გაგზავნილი, ის მთავრობა თავის ჯაშუშებს ჰგზავნის პეტროგრადში, აწყობენ არეულობას ტომრებით ფულებს იგზავნება და რუსების შორის მოღალატეებს ყიდულობენ. თეთრი მთავრობა ჩვენს სოფლებს უწვის, მაგრამ ჩვენ არას დროს არ დავნებდებით... (გამოტოვებულია).

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის და სხვა ქვეყნის მუშები არ დაუშვებენ, რომ მემამულეებმა ისინი მოიხმარონ როგორც ჟანდარმები, ჯალათები ჩვენ მუშათა რევოლიუციისთვის... თქვენი მთავრობა.

ივლისის 12-ს

გერმანული პრესა.

1875 წ. მოლაპარაკება სწარმოებდა იმის შესახებ თუ ბელგიის მიწაწყალზე რომელი ადგილი ამორჩიათ ჯარის გადმოსასხმელად. 1906 წ. შესაძლებელი იყო საფრანგეთში გადმოესხათ ჯარი, თუ გერმანია ნეიტრალიტეტს დაარღვევდა. 1911 წ. შესაძლებლად სცნეს ბელგიაში ჯარის გადმოსხმა, თუმცა ამაზე ბელგია არ დათანხმებულა შემდეგ, წიგნში ნათქვამია, რომ ყველა სამხედრო ექსპერტების აზრით ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის გეგმა იყო ერთად ერთი თავდასაცავი საშუალება გერმანიისთვის, რომელიც ძალიან მძიმე სტრატეგიულ პირობებში იმყოფებოდა და საფრთხე ორი მხრიდან მოელოდა.

ზემო სილეზის ავტონომიის საკითხი.

ზემო სილეზიის ეროვნულ ყრილობის წარმომადგენლებს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდათ. ოთხშაბათს ზემო სილეზიის ავტონომიის შესახებ.

უწესოება ჰანოვერში.

ჰანოვერში უწესობა და ღამღამობით სროლა გრძელდება.

მინისტრის გადადგომა.

მინისტრი ვისელი გადადგა. ჰფიქრობენ, რომ კაბინეტში უპირატესობას დემოკრატიულ პარტია მოიპოვებს.

მუშაობის განახლება ბერლინში.

ბერლინში უმუშევართა რიცხვი თან და თან კლებულობს. ტრამვაიის და სხ. მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება და გაფიცვები მოკლე ხანში დასრულდება თუმცა ხუთშაბათიდან რკინის გზებზე ზოგიერთ ადგილას მუშაობა უკვე დაიწყო.

გერმანიის კრონპრინცი.

გერმანიის კრონპრინცთან დანიშნულმა ოფიცერმა კლემანსოს მიმართა წერილობითი განცხადებით, რომელშიაც სწერს: „ვაცხადებ, რომ თუ მისი უდიდესებულების გასამართლებას შეუდგებიან, მე, კრონპრინცთან დანიშნული მთავარ შტაბის ოფიცერი მზადა ვარ დავამოწმო.. (გამოტოვებულია) ენერგიულად იცავდა იმ პოლიტიკურ მისწრაფებებს, რომელთა განხორციელებაც ომს შეუძლებლად ხდიდა და ბოლოს 1917 წ. კრონპრინცი იმის მომხრე იყო, რომ ინგლისის საშუალებით გერმანიას წინადადება მიეცა მოკავშირეთათვის ზავის ჩამოგდების შესახებ.

ბოლშევიკური ცნობები

ბოლშევიკების წინსვლა კამენეც პოდოლკისაკენ.

კიევი. ივლისის 12. ვოლოჩისკის მიმართულებით ჟმერინკას დასავლეთით 30 ვერს. ქალბარი დავიჭირეთ: პეტლიურას ფრონტზე ჩვენი წინსვლა გრძელდება. პეტლიურას უკანასკნელი ბაზა კამენეც-პოდოლსკი—სულ მალე დაეცემა: პეტლიურას ჯარი გარბის. წითელი ჯარი გალიციის საზღვარზე სდგას: თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლას ხელმძღვანელობს სახალხო კომისარი პოდვოისკი, რომელიც მოწინავე პოზიციებზე იმყოფება.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. ივლისის 13. (მიღებულია მოსკოვის რადიო სადგურ.) დვინის რაიონში, პონევეჟის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. ლენინეცის რაიონში ჩვენმა ჯარმა სადგური (?) დასტოვა და უკან იხევს. პროსკუროვ-ჟმერინკის მიმართულებით მოწინააღმდეგე დავამარცხეთ. მტერი დაბა ბარიდან სამხრეთით გაიქცა და ქონება დაგვიტოვა. ეკატერინოსლავის მიმართულებით ვერხნე დნეპროვკასთან ჩვენი ჯარი იბრძვის. ჩრდილოეთით ჩვენი მოწინავე ჯარი ნოვო-მოსკოვისაკენ მიიწევს. ხარკოვის მიმართულებით სოფ. კოლომაიასთან ჩვენ 100 ტყვე წამოვიყვანეთ და ხელში ჩავიგდეთ 2 ზარბაზანი. ჩრდილოეთით ჩვენ ქალ. ბოგოდუხოვი დავიჭირეთ. ბოგოროდის მიმართულებით ბალაშოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ: ჩვენმა ჯარმა მტერი დაამარცხა და 10 ვერსით წინ წაიწია. აღმოსავლეთით ჩვენ იძულებული ვიყავით ლიატეჟეკა დაგვეტოვებია: კამიშინის რაიონში ბიკოვთან ბრძოლაა.

ბოლშევიკების აღმოსავლ. ფრონტი.

ბუზულუკის რაიონში ჩვენი ჯარი ურალსკის გარნიზონს შეუერთდა. სტერლიტამაკის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება, ჩვენი ჯარი ზლატოუსტს უახლოვდება. ზემო და ქვემო რვისკის ქარხნები საბოლოოდ გავანადგურეთ. სად. სერგინსკაიასთან ჩვენ 11 ორთქლმავალი და 150 ვაგონი ჩავიგდეთ ხელში. სად. კაუროვკასთან მტრის 4 ეშელონი სურსათით ხელში ჩავიგდეთ. კუნგურის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. პერმის რაიონში ჩვენ ჩუსოვსკაიასთან 1 ქარხანა დავიჭირეთ. ჩრდილოეთით ჩვენ სად. გუბახა და კიზელი და სოლიმანსკი დავიჭირეთ.

ზავის ზეიმი პარიზში

პარიზში დიდი მხიარულობაა. პარიზელები ბოლოს და ბოლოს დარწმუნდნენ რომ ომი მართლაც, გათავებულია. დიდი ბულვარები, ელისეს მინდორი და შეთანხმების მოედანი ყველა ეროვნულ დროშებითაა ლამაზად მორთული. ქუჩებში დიდი ძალი ხალხია თავმოყრილი. საფრანგეთის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ პროვინციელები თავის ოჯახებით. პარიზმა სადღესასწაულო სახე მიიღო, როგორც კანავალის დროს პარიზში ეხლა ორჯერ მეტი მცხოვრებია ვიდრე ერთი წლის წინად იყო, როგორც მტრის ჰაეროპლანების თავ დასხმის გამო მცხოვრებლები ათასობით გარბოდენ პროვინციაში, ეხლა კი ათასობით უკან ბრუნდებიან. ოფიციალური ზეიმი კვირას, ივლისის 14 შესდგება. პროვინციიდან ჩამოსულ დელეგაციებს ნება დართეს მოაწყონ პროცესიები გამარჯვების ძეგლისკენ. არა ოფიციალური ზეიმი უკვე დაიწყო. ამთავრებენ ყოველგვარ მზადებას „წმიდა გზაზე“, რომელზედაც გამარჯვებული ფრანგი ჯარისკაცები გაივლიან. ომში დახოცილთა ქვრივებს და მშობლებს ელისეს მინდორზე ტრიბუნაზე მოათავსებენ. ბილეთების რიცხვი განსაზღვრულია და მთავრობის მოხელეთა საშუალებით დაურიგდებათ პარიზის და პროვინციის მცხოვრებთ. საფრანგეთის ყველა კუთხიდან ეზიდებიან ყვავილებს, რომლითაც უნდა დაფარონ საზეიმო გზა. ყვავილებს გააბნევენ ელზას-ლორენელი ქალები, რომელნიც ფოშს წინ წაუძღვებიან. ძეგლზე წარწერაა: „სამშობლოსათვის დახოცილთა პატივსაცემად“. ძეგლი 60 ფუტის სიმაღლისაა, პირამიდის მოყვანილობისა და ძეგლის თავზე აღმართულია გამარჯვების ფრთიანი ფიგურა და გამოქანდაკებულია ოთხი ჯარისკაცი—ბერსალიერი, რომელნიც სამხედრო დავლას განასახიერებენ.

იურიდიულ საზოგადოების კრება

წარსულ კრებას იურიდიულ საზოგადოებაში შესდგა საერთო კრება, რომელზედაც იუსტიციის მინისტრის ყოფილმა ამხანაგმა ბ. გ. გველესიანმა წაიკითხა მოხსენება: „საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის პირველი სამინისტრო და საქართველოს სენატი“ და დასმული იყო განსახილველად შემდეგი საკითხები: 1) მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენლების სასამართლოზე გავლენის შესახებ, 2) საფინანსო და ვაჭარ-მრეწველ თა სამინისტროსთან არსებულ ტეხნიკურ კომიტეტისათვის წარმომადგენლის არჩევა, 3) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები მაზრებში და სხვა მიმდინარე საკითხები.

იუსტიციის პირველი სამინისტრო, ამბობდა მომხსენებელი, მოღვაწეობდა ფრიად მძიმე პირობებში; იმ დროს როდესაც ირგვლივ ანარქიის ქარიშხალი გრიალებდა და ყველაფერი რყევას და ნგრევას განიცდიდა, შინ და გარედ საქართველოს მტერი მოსწოლოდა და სახელმწიფოს უფლებრივ მდგომარეობას არღვევდა, ამ დროს იუსტიციის სამინისტრო სახელმწიფოს ფხიზელ დარაჯად ედგა სათავეში და ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა რომ, სახელმწიფოში შეექმნა ისეთი დამოუკიდებელი სასამართლო ორგანო, რომელიც სახელმწიფოს უფლებრივ მდგომარეობას შეუქმნიდა და მცხოვრებთა შორის კანონიერებას დაამყარებდა; ეს იყო მიზეზი, რომ სამინისტრომ გაადიდა გამომძიებელთა შტატები, გაამრავლა მომრიგებელ მოსამართლეთა რიცხვი, დაარსა საგანგებო სასამართლოები. ამის გარდა, იგი ებრძოდა ძალმომრეობას, რომელსაც იჩენდა სახელმწიფოს ზოგიერთ დარგის მოხელე, რომელიც კანონიერებას არღვევდა და თავის უფლების გარეშე და სასამართლოს დაუკითხავად სასამართლოს კომპეტენციას ითვისებდა. დაარსდა იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო ნაწილი, რომელიც თავს უყრის და მთელ მომქმედ კანონებს სისტემატიურად აგროვებს და მით სახელმწიფოს აძლევს ერთ მთლიან კანონთა კრებულს.

მანვე განიზრახა, ამბობდა მომხსენებელი, უმაღლეს სენატის დაარსება და კიდეც შექმნა კანონ-პროექტი, რაზედაც უნდა აეგოს მისი ძირითადი საფუძვლები; მე არ შეუდგები, ამბობდა გ. გველესიანი სენატის შესახებ წამოყენებული პროექტის განხილვას, რადგან ამაზედ წარსულ კრებაზედ გვქონდა ბაასი, მხოლოდ ვიტყვი იმას, დაამბოლავა გველესიანმა, რომ იუსტიციის სამინისტრომ, თავის მოკლე მოღვაწეობის დროს შესძლო დაემტკიცებინა, რომ კანონიერება მკვიდრად სდგას და რომ იგი არავის მისცემს ნებას უსამართლოდ ვინმე დაისაჯოს და ან დამნაშავედ ცნობილი დაუსჯელად დარჩეს.

პირველ საკითხის, მთავრობის „ზოგიერთ წარმომადგენლების სასამართლოზე გავლენის შესახებ“. სიტყვა აიღო გ. შალიბაშვილმა და განუცხადა დამსწრე საზოგადოებას, რომ ამ საკითხს გაკვრით შეეხო მომხსენებელი ბ. გ. გველესიანი, ასე რომ, მას აქ ბევრი ლაპარაკი აღარ დასჭირდება და არც საჭიროდ მიაჩნია ამ საკითხს იურიდიული თვალსაზრისით შეხედოს და დაამტკიცოს რომ სასამართლოზე, ვისგანმე, გავლენა ჩვენ მართლმსაჯულების პრინციპებს დაარღვევს დაკანონების ძირითად საფუძვლებს გააბათილებს, ვიტყვი მხოლოდ იმას, ამბობდა გ. შალიბაშვილი, რომ დღეს ჩვენი მართლ-მსაჯულება მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენლების ამ გვარ გავლენის ქვეშ იმყოფება და ჩვენი სასამართლო ამ მხრივ დიდ რყევას განიცდის, რომ ჩვენ სასამართლო მოღვაწეობის ასპარეზზე შემოიჭრენ სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მიითვისეს სასამართლოს გამომძიებელ—მოსამართლის ფუნქციები. ამ გვარ ადამიანების ჩარევით ჩვენი სასამართლო შეიქმნება პირად ინტრიგების დამაკმაყოფილებელი ვიწრო წრის ასპარეზად, სამართალი მთლად მოიშლება და მისი წარმომადგენლებში ხელოვნურად მოლაპარაკე პიფიებად გადაიქცევიან.

ამგვარ გავლენის დასამტკიცებლად საჭირო არ არის, ამბობდა შალიბაშვილი, ყველა იმ მაგალითების აღნუსხვა, რომლებშიაც იგი იხატებოდა, საკმარისია ორი-სამი უკანასკნელი მაგალითები რომლებსაც ამ ბოლო დროს ჰქონდა ადგილი და რომლებმაც იურისტები ბუნებრივად აღშფოთება გამოიწვია.

როგორც ვიცით, პარლამენტის მიერ დამტკიცებული საგანგებო სასამართლოს დებულება უკარნახებს სასამართლოს, რომ ყველა ის დამნაშავენი, რომელთა დანაშაულობა საგანგებო სასამართლოს ექვემდებარება, უნდა იქმნენ შეპყრობილნი, ვიდრე მათ საქმეს საგანგებო სასამართლო არ გაარჩევს როდესაც დუშეთის მაზრის მცხოვრებნი ვინმე იზიაშვილები გამომძიებელმა შეიპყრო და მათი თავდების ქვეშ გამოშვება შეუძლებელად მიიჩნია იმავე მთავრობის წინადადებით წინააღმდეგ კანონისა გამოშვებული იქმნენ. მეორე მაგალითი ბუაჩიძის მიერ ცოლის მოკვლის საქმე, როდესაც პასუხისგებაში მიცემულ ბუაჩიძეს გამომძიებელმა ჩვენება ჩამოართვა და ამის შემდეგ შეპყრობილი ბუაჩიძე გაანთავისუფლა თავდებობით, ამ გამომძიებელს თბილისის პროფესიულ კავშირიდან მოსდის მკაცრი ბრძანება, რომ ბუაჩიძე შეეპყრო და მართლაც თავდებ ქვეშ განთავისუფლებული ბუაჩიძე კვლავ, ზემოხსენებულ კავშირის ბრძანებით, დააპატიმრეს. მესამე მაგალითი: ბორჯომის უბნის სასამართლო გამომძიებელმა მსხვილ-ფეხა საქონლის ახალციხის მხრიდან მოპარვის გამო შეიპყრო ვინმე ხომერიკი, გვარცლაძე და სხვები, მაგრამ ეს უკანასკნელნი მთავრობის წარმომადგენლის ბრძანებით დაუყოვნებლივ იქმნენ განთავისუფლებულნი და ბორჯომის გამომძიებელი იძულებული შეიქმნა რომ ამ საქმის

წინასწარ გამოძიებაზე ხელი აიღო. ეს სამი მაგალითი სთქვა შალიკაშვილმა, ნათელ-ჰყოფს თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი სასამართლო და მისი წარმომადგენელნი!

მოხსენებაში მოთხრობილ ამბებით აღშფოთებული საზოგადოება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ საგანზე პარტიების წარმომადგენლების დახმარებით დამფუძნებელ კრებაში შეკითხვა იყოს შეტანილი, რათა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანომ კიდევ ერთხელ ავტორიტეტულად აღიაროს სასამართლოს დამოუკიდებლობის საჭიროება. ამის შემდეგ კრებამ საფინანსო და სავაჭრო-მრეწველობის სამინისტროსთან სპეციალურ კომიტეტში წარმომადგენლად პალატის წევრი ბ. ს. მიქელაძე აარჩია.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ვერა ზასულიჩის სიკვდილი.

მაისის 11-ს მოსკოვში დაკრძალეს ვერა ზასულიჩის ქალი.

კოლჩაკის ბანკი.

კოლჩაკის სამხედრო ბანკი გადაიტანეს ეკატერინბურგში.

მიწის ძვრა იტალიაში.

თბილისის ერთ-ერთ უცხოელთა ახალშენს მოუვიდა ცნობა ბოლო ხანებში იტალიაში საშინელი მიწის ძვრა მოხდა. მეტად დაზარალდა ფლორენცია და ნეაპოლი.

ფულის კურსი ლონდონში.

ინგლისის ერთი გირვანქა ლონდონში 30 მანეთად ღირს (ნიკოლოზის ფულად.)

ამიერ კავკასიის ბონები კონსტანტინოპოლში.

ბოლო ხანებში კონსტანტინოპოლში ამიერ კავკასიის ბონებს დიდი გასავალი აქვს. როგორც აქაური ვაჭრები იტყობინებიან, ბევრ შემთხვევაში საქონელს კერენსკის და ნიკოლოზის ფულად არც იძლევიან.

კრონშტადში.

უცხოეთიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის გემები კრონშტატის გარშემო ნაღმებს იღებენ. რამოდენიმე ათეული ინგლისური ტრალერებისა სწმენდს ცნობილ ნაღმიან არეს. ამ რამდენიმე თვის წინად გერმანიის განთქმული ფლოტი მიახლოვებასაც კი ერიდებოდა.

ყირიმის კომისრები.

ყირიმში დააპატიმრეს მრავალი კომისარი, მათ შორის საბჭოთა მთავარ სარდლები კოტოვი და დიბენკო.

ინგლისურ კაბინეტის შეცვლის შესაძლებლობა.

როსტოვის გაზ. „ჟიზნი" იტყობინება ინგლისში ზავის შემდეგ მოსალოდნელია კაბინეთი შეიცვალოს.

ბალფური სტოვებს საგარეო საქმეთა მინისტრის პორთფელს გადის აგრეთვე მიწადმოქმედების მინისტრი ესილ და ფოსტის ილინგვორძი შესაძლებელია რომ მილლნერმაც თავი დანებოს; ეხლა იგი ეგვიპტის მისიის თავმჯდომარეა.

გენ. დენიკინი ხარკოვში.

გაზ. „დონს. ვედომ." და როსტოვის სხვა გაზეთები იტყობინებიან, რომ მკათათვის 5-ს ხარკოვში ჩავიდა გენ. დენიკინი, რომელსაც თან ახლდნენ გენ. რომანოვსკი, მაი-მაევსკი და სხვ. საკრებულო მოედანზე გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი.

საღამოს გენ. დენიკინი წარმოდგენას დაესწრო. ხარკოვში ყოფნის დროს მან სთქვა: „ორი დღის წინად ბრძანება გავეცი, რომ სამხრეთის ჯარს მოსკოვზე შეტევა დაეწყო".

ეკატერინოსლავ როსტოვის შორის მიმოსვლა.

მოეწყო მიმოსვლა სინელნიკოვო-ეკატერინოსლავ როსტოვს შორის მატარებელთა მიმოსვლა.

ღვინის შესყიდვა.

თბილისში ჩამოვიდნენ ღვინის დიდი პარტიის შესასყიდათ დონის ოლქის მთავრობის წარმომადგენელნი.

„აზერბაიჯანი" იტყობინება, რომ ბაქოს კომერციულ წრეებში მიღებული ცნობებით კონსტანტინოპოლში შემოუღიათ ახალი გადასახადი და სატრანზიტო ბაჟები. ერთ კილო შაქარზე ეს გადასახადი 20 პასტრს უდრის. ამ გადასახადის შესახებ მოკავშირეთა სარდლობას არავითარი ცნობა არ მიუღია.

გენ. იუდენიჩის ჯარში.

დონის გაზეთებში გამოქვეყნებულია „ოსვაგის" შემდეგი დეპეშა:

„ეკატერინოდარიდგან იტყობინებიან 13 მკათათვეს გვატყობინებენ: ლონდონიდან ჩამოსული გადმოგვცემს: „რუსეთის ფაქტიურ წარმომადგენლად ფინეთში არის გენ. იუდენიჩი, ხოლო ოფიციალურად —კარტაშევი, რომელმაც ტრეპოვი შესცვალა.

იუდენიჩის მიზნები ისეთივეა, როგორიც კოლჩაკისა, რომელსაც ის ემორჩილება.

გენ. იუდენიჩის დახმარების საკითხი პარლამენტში სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ აღძრა და პარლამენტმა გადასწყვიტა, რომ დახმარება აღმოუჩინოს იუდენიჩს. ინგლისის მიერ გაგზავნილი სურსათის პირველი ტრანსპორტი სურსათისა და სამხედრო მასალისა რეველში ჩქარა ჩავა.

ტრ. ჯაფარიძის მკვლელობის საქმე

ამ ცოტა ხანში საგანგებო სასამართლოში გაირჩევა საქმე ტრ. ჯაფარიძის მკვლელობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხაშურის კომისარიატში შარშან, 26 მარიამობისთვის. ბ-ნ პროკურორს პასუხისგებაში მიეცია ყოფილი სარაიონო კომისარი ბ. ჩანტლაძე. ნამდვილი მკვლელი ბუხრუკიძე დღესაც დაუჭერავია. მით უფრო გასაოცარია, რომ ბუხრუკიძე მუდამ თავის სოფელში იმყოფება და იქიდან ფეხიც არ გადუდგამს. ადგილობრივი ადმინისტრაცია მაღლიდან მოსულ ყოველ განკარგულებაზე ერთ პასუხს აძლევს: მიღებულია ენერგიული ზომები მაგრამ ვერ აღმოვაჩინეთო. მკვლელი კი როგორც ზევით მოვიხსენიეთ თავის სოფელშია და დროგამოშვებით ხაშურშიდაც ამობრძანდება ხოლმე.

ნუ თუ ეს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ არ იცის? ძალიან კარგადაც იცის მაგრამ სათანადო ზომებს არ იღებს.

საჭიროა სათანადო მთავრობამ მკაცრი ბრძანება გამოსცეს და ხაშურის ადმინისტრაციას ულტიმატუმი დაუსვას: ან მკვლელი შეიპყროს, ან სამსახურიდან გავიდეს. საზოგადოება ირყვნება, კაცის სიცოცხლეს ფასი ეკარგება, როდესაც ხედავენ, რომ უდანაშაულო ადამიანის მკვლელი ხალხში აშკარად დაიარება და არავინ ხელს არ ახლებს.

ამ რიგად ეხლა მხოლოდ ორი სხვა მკვლელობათაგანის—ბოლოკაძის და ბარბაქაძის საქმე ირჩევა.

განსვენებული ტრ. ჯაფარიძე თავის პატარა ფარგალში დაუღალავი საზოგადო მოღვაწე კაცი იყო. მის შრომის ნაყოფს შეადგენს დღეს არსებული ქალ. ხაშურში ვაჟების გიმნაზია, საკრედიტო ამხანაგობა, სამკითხველო-ბიბლიოტეკა, (რომელიც თავის ჯიბით შეინახა 4 წელიწადი) კოოპერატიული დუქანი და დრამატიული საზოგადოება სადაც დაუღალავი ენერგიით მუშაობდა განსვენებული. ყველა ეს დაწესებულებანი აწვდიან გონებრივ და სულიერ საზრდოს ხაშურის საზოგადოებას.

ვ. დ—ძე.

ხოლერის წინააღმდეგ.

ვინაიდან ხოლერის გაჩენა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მოსალოდნელი იყო და სახადით ავათმყოფობას გახშირება ეტყობოდა, რაც საფიქრებელი იყო რომ უფრო მეტად გავრცელდებოდა, რესპუბლიკის სანიტარული ნაწილის განსაკუთრებული რწმუნებულმა მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ საზღვარგარეთიდან თითქმის შეუძლებელია შემოტანილ იქნეს ამ ავათმყოფობათაგან უზრუნველ საყოფად ასაცრელი ვაქსინები, მაისის ბოლო რიცხვებში მოიწვია ექიმი — ბაქტერიოლოგთა სხდომა, რათა გამოერკვიათ თუ რამდენად შესაძლებელია ხოლერისა და სახადის (მუცლის ტიფის) საწინააღმდეგო ვაქცინების დამზადება აქ, თბილისში, სახელდობრ ქალაქთა კავშირისა და სამხედრო უწყების ლაბორატორიებში, რომელნიც უნდა ითქვას საკმაოდ მოწყობილნი არიან.

სხდომაზე აღიარებული იქმნა, რომ ხსენებული ლაბორატორიებში შეიძლება დამზადდეს შესაფერი თვისების და რაოდენობის ორივე გვარის ასაცრელი ვაკცინა და რადგანაც დაყოვნება შეუძლებელი იყო დაადგინეს ამთავითვე პირველ რიგში შეუდგენ ხოლერის საწინააღმდეგო ვაკცინის მზადებას და სახადის (მუცლის ტიფის) საწინააღმდეგო ვაკცინის გასაკეთებლად კი იქმნეს მიღებული სათადარიგო ზომები.

შემდეგ გამომუშავებულ იქმნა გეგმა ხსენებულ ვაკცინების ჯეროვნად შემზადებისა და წესი დამზადებული ვაკიცინების შემოწმებისა; შესდგა განსაკუთრებული რწმუნებულის მიერ დამტკიცებული საკონტროლო კომისია, რომელიც ვაკცინების ყოველ სერიას შეამოწმებს.

საკონტროლო კომისიის წევრებად არიან ექიმები: ნ. ა. სანაროვი ა. მუხარინსკი, ი. გამბურგერი და ფარმაციის მაგისტრი კუპცისი.

მთავრობის საკონტროლო კომისიამ კიდეც დაამთავრა ყოველ მხრივად ბაქტერიოლოგიურად, ქიმიურად, ცხოველთა და შემდეგ ადამიანთათვის აცრით. აუცრეს ათ კაცს მათ შორის სამ ექიმს) შეამოწმება ორივე ლაბორატორიის მიერ დამზადებული ხოლერის საწინააღმდეგო ვაკცინისა და გამოირკვა, რომ ეს ვაკცინა სავსებით შეესაბამება თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილებებს.

საკონტროლო კომისიის მიერ დამზადებულ, ვაკცინების შემოწმებული სერიები ამ დღეებში კომისიის ეტიკეტების თანდართვით გამოშვებულ იქნება სახმარებლად. შემდეგშიაც ყველა სერიები ამგვარადვე იქნებიან გამოშვებულნი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ეს ერთი ხანია ქართულ გაზეთებში დიდი მიწერ-მოწერა და წერილების ბეჭდვაა „მაფალუს" და მოხუცი მასწავლებელი სტეფანე გაგუას წინააღმდეგ. მე მეგონა ბ-ნი გაგუა თვითონ იტყოდა გაზეთების ფურცლებზე თავის სიტყვას, მაგრამ როგორც გაზეთ „ერთობის" № 148, სჩანს მისი—გაგუას საპასუხო წერილი გაზეთს არ დაუბეჭდავს, მე კი საჭიროდ მიმაჩნია მკითხველმა საზოგადოებამ იცოდეს საქმის ნამდვილი შინაარსი და ამიტომ ვთხოვ პატივცემულ გაზეთ „საქართველოს" რედაქციას ადგილი დაუთმოს ამ ჩემს პატარა წერილს თავის გაზეთის ფურცელზე.

ამ ერთის თვის წინად, მე ახალ დაბრუნებული ვიყავი კონსტანტინეპოლიდან და საქმეების გამო მომიხდა ლაპარაკი ბ. გაგუასთან, ლაპარაკის დასასრულს გაგუამ მთხოვა დავსწრებოდი ახალ მეგრელთა საზოგადოების კრებას, რაც მე შევასრულე. კრებაზე იყვნენ დამსწრენი ოცი ოცდა-ხუთ კაცამდე ქალი და კაცი, უმეტესობა სტუდენტობა; კრება არ იყო პარტიული, დამსწრეებში ზოგი ჩემი ნაცნობნიც იყვნენ, მათ შორის სოციალ-დემოკრატებიც, სოც.-ფედერალისტებიც და ერ. დემოკრატებიც.

ლაპარაკი იყო მეგრულ ენაზე (ქართული ასოებით) ჟურნალის გამოცემის შესახებ, რომლის დანიშნულება უნდა ყოფილიყო წმინდა კულტურული შესწავლა და გამოკვლევა მეგრული ენისა და სამეგრელოსი, გალამაზება და დაბეჭდვა მეგრული მოთხრობებისა, ლექსებისა და საერთოდ კი გალამაზება მეგრული ენისა. კრებამ აირჩია გამგეობა, რომელსაც დაავალა საჭირო წესდების შემუშავება და მთავრობისთვის წარდგენა დასამტკიცებლად. პირადათ ჩემი მიპატიჟების მიზეზი იყო თურმე შესაფერი დახმარების აღმოჩენა ჟურნალის დასაარსებლათ ფულით.

ეს იყო და ეს, არავითარი ლაპარაკი ან „სამეგრელოს ტერიტორიალურ ავტონომიაზე" ან „დამოუკიდებელ სამეგრელოზე" ან „სამეგრელოს გამოყოფაზე საქართველოდან" ან რამე ამის მგზავსი იქ არ ყოფილა და არც მე მომსვლია თავში თუ როდისმე ეს საქმე ამნაირ სახეს მიიღებდა. როგორც ხედავთ საქმის შინაარსსა და გაზეთებში დაბეჭდილ წერილებს შორის დიდი განსხვავებაა და მოხუც პატივცემულ მასწავლებელ-პედაგოგის სტეფანე გაგუას გალანძღვა საქმის სათანადო გამოკვლევამდე შეუსაბამოთ მიმაჩნია.

ამ საგანზე შეუმოწმებელი ცნობებისა და ჭორების წერა საქმეს მხოლოთ და მხოლოთ ავნებს და სასურველია, როცა ისეთი ბეჭდვითი ორგანო, როგორც „ერთობა" რამეს ასეთ სერიოზულ საქმეზე ბეჭდავს, ჯერ სათანადოთ გამოიძიოს და მერე დაბეჭდოს, თორემ ახლა ათასნაირი ხმები დადის ხალხში და თუ ეს ასე გაგრძელდა და თუ ცრუ ხმებს ისევ გაზეთებმა არ მოუღო ბოლო შეიძლება ამას არა სასურველი შედეგები მოჰყვეს.

დიდის პატივცემით ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე **ლ. ზოდელავა.**

თბილისის ბირჟა

14 მკათათვე.

დღეს ბირჟაზე დიდი მოთხოვნილება იყო ნიკოლოზის 500 მანეთიანებისა და ოსმალურ ოქროს ლირებისა.

500 მანეთიანებში იძლეოდნენ 1800 მანეთამდე, 100 [illegible]ბოდა 250 — 320 მან., პატარა კუპონებში კი 100 პროცენტამდე დამატებით იძლეოდნენ.

1000 მანეთიანი „კერენკები" გადიოდა 1500 მანეთამდე, 250 მანეთიანები კი მხოლოდ 32 პროცენტის დამატებით, 20 და 40 მანეთიანები 10 პროცენტის დამატებით. ინგლისური გირვანქა სტერლინგები გაიაფებულა 300 მანეთამდე, ჩეკები—აგრეთვე.,ფრანგულ ფრანკებისა მოთხოვნილება მეტად მცირეა, იტალიურ ლირებს და გერმანულ მარკებს).

ოსმალურ ოქროს ლირა გადიოდა 360 მანეთში, ქაღალდის ლირები კი— 85 მან.

4 პროცენტის მომტან ფასიან ქაღალდებიდან 4 პროცენტ მომტანი რენტა საკმაოდ მოიპოვებოდა ბირჟაზე, და მყიდველნი იძლეოდნენ 170 მანეთს. თბილისის საქალაქო საკრედიტო ამხანაგობის დროებითი ბარათები—100 მან, დანარჩენ ფასიან ქაღალდებში ცვლილება სულ არ იყო

ჩეკების გამოცვლისთვის 28 პროცენტს მოითხოვდნენ

—

თბილისის საბირჟო კომიტეტმა გაიგო რა, რომ ფინანსთა სამინისტრო ამზადებს კანონ-პროექტს თბილისში ფონდის და საქონლის ბირჟას გახსნისათვის, აუწყა სამინისტროს, რომ თბილისში 1906 წლიდან კიდეც გახსნილია ბირჟა ფონდების და საქონლისა, მაგრამ პოლიტიკურ და ეკონომიურ მერყევი მდგომარეობის გამო დაკეტილი იყო, და ახლა, როცა ცხოვრება წესიერ კალაპოტში ჩადგა, ბირჟა კვლავ განაახლებს თავის მოქმედებას.

ვ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9- 1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7- 92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ ტელეფონი 14—23.

ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

62.

ზრუნვამ დასძლია თებრონია, ბოროტი განზრახვის სიძნელემ და თავი ვეღარ გაართო უშედეგო მღელვარებას. მისმა გონებამ ვერ გაირკვია სწორე გზა მოქმედებისა, მიზანთან პირდაპირ მიმყვანებელი ბილიკი მოკლე. თითონ მიზანიც ბუნდოვნად მოსჩანდა ეხლა, გამოურკვევლობის ნისლით ბურვილი. უკვე ეჭვიანობდა თებრონია, ირყეოდა, ნამდვილ ვეღარ გაეკვლია ისიც კი, ცოდვის აღმოსაფხვრელად დაემკლავებინა თუ სიხარულის მოსასპობლად.

ძნელ საქმეს მოჰკიდა ხელი და ეს სიდიადე მისი ეხლა თვალწინ წარმოუდგა ცხადად. მთელი მთა იყო ეს, მისი აწევა და უფსკრულში გადათხევა მხოლოდ ბუმბერაზს შეეძლო, თვის უსაზღვრო ძალაში დაჯერებულ-დარწმუნებულს. როდესაც დედოფალს ელაპარაკებოდა მონაზონი და აღთქმას აძლევდა, თავისი თავი დიდი რაინდი ეგონა, ზეციური მადლით უძლეველ ქმნილი; ეხლა კი, სამოქმედო ნაბიჯის წადგმის დროს, შიშმა აიტანა ის და შეარყია, მისი სიმტკიცე. ვეღარ გაამხნევა თვისი თავი! სიამოვნებით დაიბრუნებდა თავის სიტყვას, მაგრამ ის უკვე ნათქვამი იყო სავსებით, მისი უკუქცევა ვეღარ შეიძლებოდა. თრთოდა მონაზონი სურვილსა და შიშს შუა მოქცეული. ამ განსაცდელში მისი გონება გაფრინდა ხანთძისაკენ; მაშველის საძებნად წაესწრაფა იქით.

გრიგოლი ერთად ერთი ნუგეშის მცემელი იყო თებრონიასი, კვერთხი დასაყრდნობელი, ნავთსაყუდელი ქარტეხილთაგან საშინელთა დამხსნელ-მფარველი. რა ვუყოთ რომ ოდესმე უარჰყო მან თებრონია?! არ შეიწყნარა ოდესმე მან იგი ოდესმე მხოლოდ ხორციელად, არ შეუკავშირდა ნივთიერის ერთობით; ამ უარმა მაინც ვერ გაწყვიტა სიმი სიყვარულისა, უნივთო ტრფობისა უიმედოსი. იგი მიჯნურობა ფრთებ შეჭრილი იყო ეხლა, აღარ შეეძლო ლაჟვარდოვან ცაში ფრენა, არც თუ ფარფატი ლამაზ ყვავილებზედ. მაინც არ მისპობილიყო საოცნებო იგი მეუღლეობა ჩამქრალ—სპობილი, მხოლოდ გარდაქმნილიყო საიმქვეყნო გზაზედ თანამსვლელობად. ყველა გასაჭირში, რომელიც კი შეეხებოდა საეკლესიო სამსახურს, თებრონია უცილებლივ იყო კითხული გრიგოლისა. როცა ჩაერია მონაზონი გვირგვინოსანთა შინაურ ცხოვრებაში, ეგონა, ასრულებდა სურვილს განდეგილისას: არა ერთხელ გამოეთქვა იმას თავისი წუხილი იმ მიწიერების გამო, რომელი შეჰხებოდა სამეფო ოჯახს და ჩაელაქავებინა იგი. ეხლაც ეახლა მონაზონი დაყუდებულს და მიუთხრა ყოველივე დაწვრილებით. ბერმა გულდასმით მოისმინა თვითეული მისი სიტყვა და სდუმდა ჩაფიქრებული. ბევრი ხანი იყო ჩუმად: შეეფერებოდა დუმილი ისეთს სამძიმო საქმეს, როგორიც იყო ცოდვა მეფისა.

— მაინც მცირედ აჩქარებულხარ, გულმოდგინე მცველო ზნეობისა! ემჯობინებოდა კიდევ გვეყოვნა მცირედი, მოგვეზომ—აგვეწონა ყოველი შემდეგი მძიმე ნაბიჯისა.

— როგორ! ცოდვამ ფესვები გაიდგა, მოსწამლა მთელი სამეფო ოჯახი, გადამდებ სენად გატბორდა სასახლეში თუ მის გარშემო, ლამის მოაწამოს კეთილმორწმუნე დედოფალი მფარველი ჩვენი და შენ მაინც ამბობ, ემჯობინებოდა კვლავ დაყოვნებაო?!

— ემჯობინებოდა! ვხედავ ყოველსავე, თვალს ვადევნებ ეშმაკის კერძსა, რომელს მიუპყრია ვაჟკაცის სული ბოროტისაკენ; მაინც ჯერ ვერ იყო ცოდვა ისე მომწიფებული, რომ სადოსტაქრო მახვილს ერთის დაკვრით ამოეკვეთნა ფესვებიანად.

— ვერ იყო მომწიფებული?!

— ნუ შესწუხდები! დასდგომიხარ გზას ცოდვათა შესამუსრავად და რყევა აღარ შეიძლება. „არავინ დაჰსდვის ხელი სახვნელსა და ჰხედავს იგი გარეშე უკუნ!" უნდა ასრულდეს სიტყვა შენი! ამას მოითხოვს სჯულის დიდება, მისი სიმტკიცე. ეკლესიამ შენის პირით უნდა გამოუცხადოს ბრძოლა სამეფო ტახტს ცოდვისკენ მიხრილს და სიტყვა მისი განმკვეთი უნდა იყოს ფხაასხმულ მახვილივით: თუ ეხლა დამარცხდა ეკლესია, ვეღარ შესძლებს მხნედ ებრძოლოს ურიცხვ მტერს მასზედ მოზღვავებულს, მეკობრეს შინაურს, მტერსა გარეშეს.

სდუმდა დედაბერი. თავდახრილი უსმენდა საყვარელ მოძღვარს სასტიკად მწვრთნელსა.

— სდუმხარ, ვერ შეგიგნია ჩემი ნათქვამი. ბუმბერაზთან საბრძოლველად ფრთხილად ჰხამს ასპარეზზედ გასვლა: იარაღი უნდა გაისინჯო გულდასმით, საომარ ტაიჭს გარს შემოუარო. შეკაზმულობა მისი იწვრილო; უნდა მიმოავლო დაკვირვებული თვალი შენს ტალავარს თუ ალჭურვილობას. ერთი მცირედი ნაკლი ბრძოლის დროს იზრდება, საშინელი მარცხის მიზეზად გარდაიქმნება.

— ღმერთმა გვიხსნას მარცხისაგან!

— გვიხსნის და დაგვიფარავს! კეთილად დააგვირგვინებს იგი საქმეს შენგან დაწყებულს. ეკლესია კლდეზედ არის დამკვიდრებული და ძალა ჯოჯოხეთისა ვერ შემუსრავს მას! ბრძანა ბერმა

და წელში გაიმართა, რიხიანი შეხედულობა მიიღო შემმართებელის მებრძოლისა.

მაშ?

ვილოცოთ. შთაგვაგონოს სულმან წმიდამ... აკურთხოს ყოვლად, ძლიერმა სვლანი შენი საკეთილონი!

დედაბრის წასვლის შემდეგ განმარტოვდა გრიგოლი, ფიქრს მიეცა ძლიერს. მას უნდა შეედგინა მთელი გეგმა სახეფათო ომის საწარმოებლად, უნდა განევითარებინა მიზანშეწონილი მოქმედება, რომ კეთილად დაემთავრებინა ბრძოლა. ეკლესია უთუოთ გამარჯვებული უნდა გამოსულიყო ამ შემართებიდან, უფრო ძლიერი და შარავანდედ მოსილი, სინამ წინად იყო. თანაც ეს ბრძოლა უნდა ეწარმოებინა მას სწორედ ისე, როგორც მოითხოვდა ამას თვით სჯულდება ქრისტიანული.

— უკეთუ ძმაან შენმან შეგცოდოს შენ, ამხილე პირველ იგი კერძოდ! იტყოდა ქრისტე.

— ამ მხილებიდან დავიწყოთ, თუნდა ვაუწყო აშოტს ცოდვა მისი, განუმარტო ხენეში შედეგი მისის უშვერის ბიწიერებისა, მკაცრად მოვსთხოვო, ამოფხვრას თვის გულიდან მრუშობა საძაგელი... სჯობს მიენდოს ეს დავალება ჯერ მისივე სულიერ მესაიდუმლოვეს, მის მოძღვარს: იმისი მოვალეობაა აღიარებინოს მეფეს ცოდვა იგი და დასდოს საფერი სასჯელი სულიერი.

თვით ღმერთმა აგონა ბერს ეს გზა: დიდმარხვა დგებოდა, აშოტი უსათუოდ ეზიარებოდა და აღსარებას ეტყოდა მოძღვარს. ხუცესს შეეძლო ეთქვა მისთვის ყოველივე სათქმელი, ემხილებინა თვისი შვილი სულიერი. მეფე ვერ მიუხვდებოდა, რომ ის მიგზავნილი იყო, სხვის იარაღი, სხვისაგან მომართული საყვირი რამ უცხოს გულისთქმათა ამომძახველი. უხმო მწირმა მეფის მოძღვარს, გაანდო მას ყოველივე და დაავალა გაეზიარებინა მისთვის, რა პასუხსაც მეფე ბრძანებდა, რომ შემდეგ შესაბამად მოემართა მას თვისი სამოქმედო ძალა.

— აღასრულე, მამაო პატიოსანო, ეს დავალება სადიდებლად ეკლესიისა, საკეთილდღეოდ მეფის ოჯახისა.

— ვისმენ, მამაო წმიდაო, შენს ბრძანებას, აღვასრულებ ჩემს მოვალეობას, როგორც მაგონებს ღმერთი და მიწესს კანონი ეკლესიისა, მიუგო მოძღვარმა.

და შენდობისათვის წარსდგა ნაბიჯი.

გრიგოლი გამოცდილი ადამიანი იყო, დამკვირვებელი და მთლად კმაყოფილი ვერ დარჩა მოძღვრის პასუხით. ისიც არ უამა, რომ მის თვალებში თუ სახის მეტყველობაში ამოიკითხა თითქმის გაკვირვება! მისი დავალება თითქო ეუცხოვა მოძღვარს, არც იმამ. ხუცესმა ისე არ გამოხატა თვისი უკმაყოფილება, რომ ბერს შესძლებოდა მკაფიოდ დაენახა იგი და ეთქვა რამე იმის შესახებ, გრძნობით კი იგრძნო, ნამდვილ შენიშნა უკმაყოფილება. რაღას იზამდა?! ერთად-ერთი კაცი, რომელსაც შეეძლო პირისპირ მოელაპარაკებოდა აშოტს ამ მძიმე საქმეზედ და თანაც იმ სახით, რომ ამ საფრთხილო საგანზედ საუბარი ბუნებრივი ყოფილიყო და საიდუმლო, იყო მხოლოდ მოძღვარი მეფისა და პირველ ხანს ნებით თუ უნებლიეთ იმაზედ დააყრდნო თავისი იმედები.

— იცოდე, დიდ სამსახურს გაუწევ თვით მეფეს, იმის ოჯახს და მთელ საქრისტიანოს, თუ ჰაზრიანად აასრულებ ამ შენს მოვალეობას. მეფე მანათობელ ლამპრად არის განგებისაგან დადგენილი ის თავისი ქცევით სავალს უნდა უნათებდეს ერს; ეხლა კი უწმინდურების კვამლს მოუცამს იგი ლამპარი. მაცთუნებელია უწესო ცხოვრება მისი. მეტს ვიტყვი: მისი ბიწიერი ყოფა ბილიკს უკვალავს საქართველოსაკენ აგარიანთა წესს უწესოს, მრავალცოლიანობის ჰაზრს ათვისებს ხალხს, და, იცი შენც, თუ მტერმა ერთხელ ჰპოვა ციხეში შესავალი, თუნდ ვიწრო ხვრელი, თანდათან გააფართოვებს იმას და ვეღარ დაუდგება მას კედელიც მკვიდრი.

— მესმის! ვეცდები ღვთის შეწევნით, შენის ლოცვა-კურთხევით, მიუგო მოძღვარმა და ეამბორა,

გაბრუნდა ხუცესი, გაემართა. მოღვაწემ თვალი გაადევნა მას და კვლავ იგრძნო ის უკმაყოფილება, რომელიც გამოიწვია ბერ მონაზონში ამ დავალებამ: სახეზედ, ხმაში, თვით სვლაში ეტყობოდა ხუცესს, რომ მისი მორჩილება არ იყო ბუნებრივი თუ წრფელი, გამოწვეული იყო ის მხოლოდ ჩვეულებით; ემორჩილებოდა, როგორც მონასტრის ძმათაგანი; სული მისი არ ეზიარებოდა წინამძღვრის განზრახვას, მისი სპეტაკი გრძნობა შემღვრეული იყო ამ დავალებით.

— აღსარება უნდა იყოს შედეგი მხოლოდ პირად მოთხოვნილებისა საკუთარისა, ბაგენი უნდა აღმოიტყოდნენ მას, რას უკარნახებს მას გრძნობა იდუმალი. აღსარება უნდა იყოს თავისუფალი, ყოველგვარ სხვა მიზნის გარეშე მყოფი, გარდა წრფელის სინანულისა. მე კი მავალებენ, თითონ დაუსაბამო ცოდვა განსაზღვრილი, იძულებულ ვყო ვათქმევინო ის და განუწესო უსათუოდ მოსპოს იგი ცოდვა. ეს არის ძალა ჩემს სინიდისზედ მოტანილი და არ შემიძლიან მისი აღსრულება...

— მიბრძანებს, ვამცნო იგი აღსარება, გავაგებინო. არ ეგების! უკეთუ მოძღვარმან გასცეს აღიარებული, აღმოეკვეთოს მას ენა იგი ცუდადმეტყველი!

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.